19 844/kw 1116
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 72 (351) | პარასკევი, 1 მაისი, 1992 წელი | ფასი 1 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ჯაბა იოსელიანი:

თურქეთთან კეთილმეზობლურად ვითანამშრომლებთ!

ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი თურქეთში იმყოფებოდა.

გუშინ ბატონი ჯაბა თურქეთიდან დაბრუნდა და აეროპორტიდან პირდაპირ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წავიდა, რომლის დამთავრების შემდეგ ინტერვიუ მისცა ჩვენ კორესპონდენტს.

— ვიზიტის შედეგებით ძირითადად კმაყოფილი ვარ. თუმცაღა თურქეთში ჩემს მოგზაურობას მთლად ვიზიტსაც ვერ დავარქმევთ. საქმე ის არის, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყანა თავისი პარლამენტის დაარსების 72-ე წლისთავს ზეიმობდა. ამასთან დაკავშირებით მოწყობილ ეროვნულ კრებაზე მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი იყო მიწვეული. კრება საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. ჩამოვიდა 18 ქვეყნის, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, წარმომადგენლები.

აქ აღსანიშნავია ის, რომ პირველად ასეთ მაღალ დონეზე ჩვენ ოფიციალურად მიგვიწვიეს როგორც თავისუფალი, სუვერენული ქვეყნის წარმომადგენლები.

— ზეიმთან ერთად ალბათ საქმიანი მოლაპარაკებებიც შედგა...

— რასაკვირველია. შევხვდი პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ჯინ დორუქსაც და ქვეყნის ამჟამინდელ ფაქტობრივ მმართველს (პრეზიდენტი ბატონი ოზალი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება სამკურნალოდ), პრემიერ-მინისტრს ბატონ სულეიმან დემირელს.

უპირველესად მესხეთელი თურქების საკითხი დავაყენე, გადავეცი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნა, რომ შეგვხიდებოდნენ ამ პრობლემის მოგვარებაში.

ინტერვიუ ნომერში

მათ დახმარება აღგვითქვეს. დაგვპირდნენ, რომ დაახლოებით 50 ათას მესხეთელ თურქს მიიღებენ, დააბინავებენ. ეს ძალზე მნიშვნელოვანია სადღეისოდ ჩვენთვის.

— ამ მიმართულებით რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება და როდის?

— მალე თბილისში ჩამოვა თურქეთის სახელმწიფო მინისტრი და უკვე არსებითად მოვილაპარაკებთ საქმის მკვდარი წერტილიდან დასაძვრელად.

— მომავალ ეკონომიკურ ურთიერთობაზე ხომ არ თქმულა რაიმე?

— ოფიციალურად არა. ისე კი კერძო საუბრებში რასაკვირველია, შევეხეთ ამ თემას. მათ აქვთ ასეთი ურთიერთობის დამყარების სურვილი. კონტრაქტებზე ხელი არ მოგვიწერია, უბრალოდ სიტყვა ითქვა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა წონა აქვს უცხოეთის საქმიანი წრეების ადამიანების სიტყვას, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ამ ურთიერთობას მომავალი აქვს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის კეთილგანწყობილება, რომელიც აქ ჩვენს მიმართ იგრძნობა.

განსაკუთრებით გამოვყოფ იქაურ ქართველებს. რომლებიც ჭეშმარიტი ძმური თანადგომისთვის არიან მზად.

ეს განწყობა აშკარად ვიგრძენი თურქეთის პარლამენტის წევრი ქართველებისაგან (პარლამენტში 11 ქართველი დეპუტატია), აგრეთვე საქმიანი წრეების წარმომადგენელთაგან. სწორედ ჩვენი თანამემამულე ბიზნესმენების ინიციატივით და უშუალო დახმარებით ამ ათ დღეში ევროპიდან შემოვიტანეთ ათ ტონა ხორცს უფასოდ.

— პრესაში იყო ცნობა თბილისში თურქეთის საელჩოს გახსნის შესახებ.

— ცნობა ნამდვილია. ეს საელჩო, ისევე როგორც თურქეთში ჩვენი საელჩო, მალე გაიხსნება. აქაც ხაზს ვუსვამ, ის გარემოება, რომ თურქეთის მხარე ამ საელჩოების მოწყობასთან დაკავშირებულ ხარჯებს თავად კისრულობს.

●

სამხედრო კომენდანტის ცნობა

განვლილი დღე-ღამეების მანძილზე თბილისის ჩუღურეთის რაიონში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მოკლეს 88 წლის ბ. მიმდინარეობს დამნაშავის ძებნა. მთაწმინდის რაიონში დანაშაულის ადგილას სამხილით დააკავეს ჯიბის ქურდი, რომელმაც მაღაზიაში ქალს ხელიდან ჩანთა გამოგლიჯა. თბილისის მეტროპოლიტენის მილიციის თანამშრომლებმა გააჩერეს 19 წლის მ. რომელსაც ჩხრეკის დროს ცივი იარაღი აღმოუჩინეს.

ყველა ეს მონაცემი საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს სამხედრო კომენდანტის პრესსამსახურში.

სოფელმა უნდა გადაგვარჩინოს!

თესვა მთავრდება, ჯეჯილი მოვლილია, ვენახები მოხნულია და შეყელილია

დამოუკიდებელი საქართველოს გაზაფხული იწურება, მიუხედავად ერთგვარი არასტაბილურობისა, რესპუბლიკის უმეტეს რეგიონების მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში ურიგოდ როდი მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჩვენი საკუთარი კორესპონდენტები იყვნენ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში და ნახეს, თუ როგორ სრულდება საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესების მოვლა-პატრონობის, საგაზაფხულო თესვის, ვენახებისა და სხვა სამუშაოები.

დედოფლისწყარო: წლეულს მაინც ძალზე გაგვიჭირდა. არ გვყოფნის საწვავ-საპოხი მასალები, სათადარიგო ნაწილები, მაგრამ სოფლის მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ საქმეს არ ეღალატება, — თქვა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ავთანდილ ალიკოშვილმა და დასძინა — საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესებმა ჩინებულად გამოიზამთრეს, ჯეჯილები კარგად არის მოვლილი, თავთავიანები წლეულს 24 ათას ჰექტარზე გვითესია, უმეტეს ფართობებში შეტანილია სასუქები, ზოგან კი შხამქიმიკატები გამოვიყენოთ. აღსანიშნავია, რომ საშემოდგომო ნათესები დავალებასთან შედარებით ორი ათას ჰექტარზე მეტი გვაქვს.

იმედის მომცემი ჯეჯილებია შირაქში და ტარიბანაზე, ზილიჩასა თუ ალაზნის ველზე. მიწის პრივატიზაციით კმაყოფილმა მშრომელებმა არც საგაზაფხულო სამუშაოებს უღალატეს, წარმატებით გაისარჯნენ ვენახებში, თავის დროზე გასხლეს და შეყელეს ვაზი, დაამუშავეს ნიადაგი და სხვა. საწვავ-საპოხი მასალების სიმცირის მიუხედავად, ნორმალურად მიმდინარეობს მარცვლეულის თესვა, აგროვადებში დაითესა მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები. სადაცაა დამთავრდება მზესუმზირისა და სიმინდის თესვა.

სიღნაღი: მიწის მოცდენა, ბაღ-ვენახების მოუვლელობა დიდი ცოდვაა, მით უმეტეს ახლა. როცა ასეთი გაჭირვებაა, — ამბობს სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე გია პავლიაშვილი. — ურიგოდ არ გამოიზამთრა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესებმა, რომელსაც 22 ათასი ჰექტარი (დავალებაზე ორი ათასი ჰექტარით მეტი) უკავია. ჯეჯილები მწვანედ ხასხასებს და ისეთია, ისეა მოვლილი, რომ ავ თვალს არ ენახვება.

საგაზაფხულო თესვაც აგროვადებში მიმდინარეობდა. დავთესეთ 2.761 ჰექტარი (400 ჰექტარით მეტი) ერთწლიანი ბალახები, 3.600 ჰექტარი (3.500 ჰექტარის მაგივრად) მზესუმზირა, 252 ჰექტარი სამარცვლე და 1.153 ჰექტარი სასილოსე სიმინდი. 5000 ჰექტარზე მეტ ვენახში თავის დროზე ჩატარდა რემონტი, სხვლა, შეყელვა და სხვა სამუშაოები. ერთი სიტყვით, საწვავით, სათადარიგო ნაწილებით განებივრებული არ ვიყავით, მაგრამ საქმისათვის მაინც არ გვიღალატია.

ლაგოდეხი: ბოსტნეულისა და თამბაქოს საჩითილე კვლებში თესვა და ნათესების მოვლა-პატრონობა აგროწესების მტკიცედ დაცვით მოხდა, ახლა წარმატებით მიმდინარეობს ჩითილების გადარგვა, — გვითხრა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კუკური ბახტაძემ და დასძინა, საწვავ-საპოხი მასალები დროზე თუ არ მოგვაშველეს გაგვიჭირდებაო...

როგორც შევიტყვეთ პრივატიზაციის შედეგად კერძო მიწათმფლობელობა წლეულს ხელსაყრელი იქნება. საკარმიდამო მიწების მომატება სოფლის მშრომელებს საშუალებას აძლევს უფრო მეტ ფართობზე მოიყვანონ ბოსტნეული, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ წლეულს, უხვად იქნება ლაგოდეხური კიტრი, პამიდორი, საზამთრო. სავარაუდოა ისიც, რომ ეს პროდუქტები შესაძლოა გაიაფდეს კიდეც. რაიონში აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევენ თამბაქოს, ვენახს, მემინდვრეობას და მეაბრეშუმეობას.

საგარეჯო: რაიონში შიგნი კახეთის რაიონებთან შედარებით ერთი თვით გვიან იწყება საგაზაფხულო სამუშაოები, წლეულს ვაზმა გვიან გაიღვიძა, შედარებით გვიან დაიწყო საგაზაფხულო თესვაც. ჯერჯერობით მხოლოდ ბალახების თესვა დამთავრდა. ამჟამად მიმდინარეობს სამარცვლე და სასილოსე სიმინდის თესვა, ჯეჯილების გამოკვება და სავენახე სამუშაოები. გარდა იმისა, რომ ძალზე ჭირს საწვავისა და სათადარიგო ნაწილების შოვნა, ერთობ გაძნელდება ვენახების წამლობა, რადგან გაძვირდა შაბიამანი და სხვა შხამ-ქიმიკატები.

ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო, მთავრობა და უშუალოდ სოფლისა და ტყის მეურნეობის სამინისტრო დროულად დაგვეხმარებიან საწვავ-საპოხი მასალებით, სათადარიგო ნაწილებითა და შხამქიმიკატებით, რაც აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის...

და მართლაც, სოფელი დიდი ყურადღების ღირსია, რამეთუ პროდუქტებით მშრომელთა უზრუნველყოფა დღესდღეობით საშური საქმეა.

ვახტანგ გოზალიშვილი.

• • •

სურათებზე: სოფელ ნინოწმინდის კოლმეურნეობაში სამარცვლე სიმინდს თესავენ კოლმეურნეობის მექანიზატორები ვახტანგ ტუხიაშვილი და ომარ კირატიშვილი. საგარეჯოს რაიონის მთავარი აგრონომი ფარნა კავთუაშვილი და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე სანდრო ერბოწონაშვილი სამარცვლე სიმინდის თესლის ხარისხს ამოწმებენ.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

სოხუმიდან გვაცნობეს

ყრილობა ჩაიშალა

იოსებ გოგეჩია,

აფხაზეთში ამ ბოლო ხანს მიმდინარე პროცესები რეალურად წარმოაჩენს იმ ტენდენციას. რომელსაც მივყავართ ეთნიკური მონოპოლიზმისკენ, ავტორიტარიზმისკენ და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისკენ.

29 აპრილს სოხუმში კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში დანიშნული იყო აფხაზეთის ქართველი საზოგადოების წარმომადგენელთა ყრილობა. ვარაუდობდნენ, რომ იგი ავტონომიური რესპუბლიკის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციისა და რეგიონის სტაბილიზაციის საფუძველი გახდებოდა. ეროვნული თანხმობის მიღწევის ამ პირველ ცდას მხარი დაუჭირა თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

29 აპრილს, ყრილობის დღეს, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მომხრე ორგანიზაციების წარმომადგენლები არ გამოჩენილან საორგანიზაციო კომიტეტში იმისთვის, რომ დაზუსტებულიყო მისაღები დოკუმენტების პროექტების საბოლოო ვარიანტები. უფრო მეტიც, ყრილობის დელეგატებსა და მოწვეულ სტუმრებს თეატრის წინ დახვდა ეგზალტირებულ მოქალაქეთა ჯგუფი, რომლის აქტიურ ნაწილს ქალები შეადგენდნენ. იმ მოტივით, თითქოს მათ არ სურთ აფხაზ ხალხთან კონფრონტაცია, შეკრებილებმა შენობის შესასვლელები ჩაკეტეს და მოითხოვდნენ: „არ შემოუშვათ მკვლელები“, „აღდგეს პრეზიდენტის ხელისუფლება“. აქვე იყვნენ ექს-პრეზიდენტის მხარდამჭერ ორგანიზაციათა და დაუმორჩილებლობის აქციის ხელმძღვანელები. შექმნილ ვითარებაში ყრილობის გამართვა შეუძლებელი გახდა.

იმავე საღამოს, აფხაზეთის ქართული საზოგადოების 16 პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერების შეხვედრაზე მიიღეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია: აფხაზეთში ჯანსაღი ქართული ეროვნული ძალების გამაერთიანებელი ყრილობის ჩაშლის ფაქტს ვაფასებთ როგორც ქართველი მოსახლეობის ინტერესების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის ლახვრის ჩაცემას.

ჰელსინკის კავშირმა და დამხობილი ხელისუფლების მხარდამჭერმა სხვა ორგანიზაციებმა და პირებმა, ვერ მოახერხეს რა საორგანიზაციო კომიტეტის თავისი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად წარმართვა, როგორც არაერთხელ, დაარღვიეს ყველა წინასწარი შეთანხმება და ნაცადი მეთოდებით ჩაშალეს ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა ეს მოქმედება უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთის სეპარატისტულ წრეებთან მათი პოლიტიკური ალიანსის კიდევ ერთ გამოხატულებად, რაც მკაფიოდ ვლინდებოდა უკანასკნელი დროის მანძილზე და რაზეც ნათლად მიუთითებს ზვიად გამსახურდიას სატელევიზიო მიმართვა აფხაზი ხალხისადმი და 1992 წლის 7 აპრილის მისივე მიმართვა აფხაზეთის ქართველობისადმი.

დღეს უკვე აშკარად გამოიხატა, თუ ვინ ამღვრევს წყალს აფხაზეთში: ისინი, ვინც მოუწოდებს საყოველთაო შერიგებისა და საერთო ქართული კონსოლიდაციისაკენ, თუ ისინი, ვინც აყენებს მდინარე ენგურზე „საერთო აფხაზურ-ქართული ფრონტის“ ორგანიზების ლოზუნგს, — ნათქვამია განცხადებაში.

აფხაზეთის ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ყრილობა ორ კვირაში გაიმართება.

იმ დღესვე, საღამოს, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მილიციის გენერალ-მაიორმა გივი ლომინაძემ გვაცნობა, რომ ყრილობის ჩაშლის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

29 აპრილს ქართულ სახელმწიფო თეატრში გაიმართა ექს-პრეზიდენტის მომხრეთა კრება, რომელშიც აფხაზეთის პარლამენტის რამდენიმე დეპუტატიც მონაწილეობდა. კრებას უძღვებოდა აფხაზეთის ქართული შემოქმედი ინტელიგენციის სადარბაზოს თავმჯდომარე თემურ მიბჩუანი. კრებაზე მიიღეს დადგენილება, რომლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ექს-პრეზიდენტის დაბრუნების მოთხოვნას.

დღეს შიდა ქართლში

გატეხილი სულის აღდგენა-ამაღლება არც ისე იოლი საქმეა!

გივი გორცვაძე,

გაზაფხულდა პატარა ლიახვის ხეობაში. ქართველი გლეხკაცი მინდორ-ველად, ბაღ-ვენახებში სამუშაოდ გავიდა. ასეა, სოფელ დისევშიც, მაგრამ.. იმ დღეს ოსმა „ბოევიკებმა“ სოფელ ხელჩუიდან ტყვიის ცეცხლი დაუშინეს ბაღ-ვენახებში გასულ დისეველებს. რამდენიმე კაცი მსუბუქად დაიჭრა. მოთმინებიდან გამოსულმა დისეველებმაც თავდამსხმელებს ცეცხლით უპასუხეს, რომელიც შემდეგ ხელჩართულ ბრძოლად გადაიზარდა. შეტაკების შედეგად ოსთა მხრიდან დაიღუპა ხელჩუელი ჯურამ ბესთაევი. სოფელში დაიწვა რამდენიმე სახლი.

ოსი ექსტრემისტების ანტიქართულ მოქმედებას მხარს აქტიურად უჭერენ რუსეთიდან სამაჩაბლოში შემოსული ეგრეთ წოდებული „კონფლიქტის მომწესრიგებელი მოხალისე დემოკრატები“. რამდენიმე დღის წინ ოსთა და რუსთა გაერთიანებული „დემოკრატიული“ შეიარაღებული ძალები ეღიას მთაზე თავს დაესხნენ საბალახოდ გარეკილი ნახირის მწყემსებს. მათ შეიპყრეს ერედველი მწყემსი ლ. ბერუაშვილი, რომელსაც ხელ-ფეხი შეუკრეს და ხევის პირას დააგდეს. სოფელმა მალე შეიტყო ნახირის გატაცება. გამოდევნებულმა მდევარმა გატაცებული ნახირი დიდი გაჭირვებით დაიბრუნა.

სამაჩაბლოში რუსეთიდან შემოსული „დემოკრატები“ არც ქართველი მოსახლეობის გატაცებას ერიდებიან ფულის გამოძალვის მიზნით. ორი დღის წინ ვანათი — საცხენეთის გზაზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა სამმა რუსმა „დემოკრატმა“ ავტომანქანიანად გაიტაცა ვანათელი შოთა ჯოჯიშვილი. იგი რამდენიმე ხნის განმავლობაში დატყვევებული მჰყავდათ სოფელ ვერში და მის გამოსახსნელად დიდ თანხას ითხოვდნენ. იღბლად, დატყვევებულს აქ დიდი ხნის ნაცნობი თუ მეგობარი გამოუჩნდა, (რომლის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), რომელმაც შოთა იმ დღეს „მოიპარა“ და მშობლიური სოფლისკენ გამოაცილა.

ამ დღეებში ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა, რომ ცხინვალი დატოვა რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალურმა შენაერთებმა. მათი ადგილი ამჟამად ოსმა სეპარატისტებმა დაიკავეს. მათ რაჟის საავტომობილო ტრასაზე, რომელიც ქალაქ ცხინვალზე გადის, სოფელ ნიქოზის შესასვლელთან რუსეთის არმიისაგან ნაყიდი რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი და ტანკი დააყენეს და ქალაქში არავის უშვებენ.

საკითხავია, რა მიზანს ისახავს ოსი „ბოევიკების“ ასეთი მოქმედება?

პრინციპულად უნდა ითქვას, რომ ოსი სეპარატისტები აშკარად ვერ შეგუებიან მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულ ცნობას, რადგანაც მათ გამთიშველურ მოქმედებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობას — ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების სურვილს საფუძველი ეცლება. ამიტომაც კატეგორიულად მოითხოვენ „ქართველი ოკუპანტებისაგან“ ძირძველი ოსური მიწების გათავისუფლებას, მის ჩრდილოეთთან შეერთებას და ალანების ისტორიული სახელმწიფოს აღდგენას.

როგორც ახლახან გვაცნობეს, ცხინვალში გაიმართა სამოქალაქო საბჭოს მორიგი სესია. სესიამ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომელშიც ადრინდელისაგან განსხვავებით ჩამოყალიბებულია ახალი რადიკალური მოთხოვნები. სესიის გადაწყვეტილებით ე. წ. სამხრეთ ოსეთი იმ შემთხვევაში დარჩება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება ოფიციალურად ცნობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, აღიარებს საქართველოს მიერ (მხედველობაში აქვთ ზვიად გამსახურდიას დროინდელი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება) ოსი ხალხის გენოციდს, უმოკლეს ვადაში აღადგენს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონფლიქტის დროს დანგრეულ ობიექტებს, ოს მოსახლეობას დახმარებისათვის გამოუყოფს ფულად თანხებს და სხვა. ოსმა სეპარატისტებმა სწორედ ამიტომ ჩააყენეს ქალაქის შესასვლელებში საომარი ტექნიკა და აცხადებენ, რომ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ისინი არ ცნობენ საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის იურისდიქციასა და უფლებამოსილებას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამ დღეებში შიდა ქართლის მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია პრესაში გამოქვეყნებულმა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიმართვამ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისადმი და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის, ეროვნებათა შორის ურთიერთობების და ადამიანთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ სანდრო კავსაძის განცხადებამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. როგორც აღნიშნავენ, მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს, რომ მათ კარგად ესმით ორი ხალხის შერიგების დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, მაგრამ ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის უპირველეს ყოვლისა მოითხოვენ, რომ ქალაქ ცხინვალსა და საერთოდ ოსურ რეგიონებში აღდგეს საქართველოს მთავრობის იურისდიქცია და უფლებამოსილება, ლტოლვილები დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას და საკადრისად დაისაჯონ ერთა შორის კონფლიქტის გამღვივებელნი.

შიდაქართლელებმა მიმართვებში დაყენებული საკითხების განხილვისას ჩვენგან ამომწურავ პასუხს მოითხოვდნენ. გულით მეწადა მათში იმ აზრის ჩანერგვა, რომ ჩვენ ქართველები მიმტევებელი ხალხი ვართ და მტრობით დანგრეული სიყვარულით უნდა ავაშენოთ, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა ისიც, რომ დღეს ამ პრობლემებისადმი ასეთი მიდგომა ჯერ კიდევ ნაადრევია. რადგან გატეხილი სულის აღდგენა-ამაღლება — არც ისე იოლი საქმეა.

ტელეტაიპის ლენტიდან

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პრესცენტრის ცნობა

30 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრის, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის თ. კიტოვანის, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის გენერალ-პოლკოვნიკ პ. გრაჩოვისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ვ. პატრიკეევის შეხვედრა.

განიხილეს საქართველოში რუსეთის ჯარების სტატუსის საკითხები. განხილვის შედეგად ხელი მოაწერეს სამუშაო შეხვედრის ოქმს. მხარეებმა დათქვეს, რომ 14-15 მაისს მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე ტაშკენტში ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას რუსეთისა და საქართველოს მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ამ დოკუმენტის ერთ-ერთ მუხლში განსაზღვრული იქნება საქართველოში რუსეთის ჯარების სტატუსი.

◆

პირველი საერთაშორისო ინსტიტუტი

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი საერთაშორისო, ქართულ-ფრანგული ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი.

ახალი ინსტიტუტი ამზადებს შემდეგ სპეციალისტებს: მარკეტინგის მენეჯერი, ფინანსისტ-მენეჯერი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერი.

სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია. საერთაშორისო ინსტიტუტის სტუდენტები შეიძლება გახდნენ 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომელთაც სრული საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლება აქვთ.

მეცადინეობა წელსვე დაიწყება. უცხო ენაში, მათემატიკასა და ქართულ ენაში მისაღები გამოცდები ივლისში მოეწყობა. ინსტიტუტი მდებარეობს თბილისის მენეჯერთა სკოლის შენობაში. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 40.

◆

მიტინგი მერაბ კოსტავას სახლთან

29 აპრილს დღის მეორე ნახევარში თბილისში მერაბ კოსტავას სახლთან გაიმართა მიტინგი, რომელიც საქართველოს ახლანდელი ხელმძღვანელობისადმი ოპოზიციურმა ძალებმა მოაწყვეს. იგი მიეძღვნა ჩვენს ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას.

მიტინგზე გამოსულმა სხვადასხვა პარტიების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უნდა აღდგეს პრეზიდენტის მართვა-გამგეობა, ხელისუფლების წინანდელი სტრუქტურები, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქმე არ ეხება კონკრეტულ პირთა ხელისუფლებაში დაბრუნებას, საქმე კანონიერების დაცვაა.

მიტინგის ყურადღების ცენტრში იყო ცხინვალის რეგიონში სიტუაციის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებიც. შეკრებილებმა შეშფოთებით აღიქვეს მთელი რიგი ორატორების მიერ გაჟღერებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თუმცა რუსეთის შინაგანმა ჯარებმა სამაჩაბლო დატოვეს, მაგრამ ქართულ მილიციას ჯერ კიდევ არა აქვს შესაძლებლობა კონტროლი გაუწიოს იქ სიტუაციას.

დაისვა სხვა საკითხებიც, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის განვითარების სხვადასხვა ასპექტებს ეხებოდა.

◆

სიახლე ჩაის ფაბრიკაში

მომზადებული ხვდება ჩაის კრეფის ახალ სეზონს ქობულეთის მეოთხე ჩაის ფაბრიკის კოლექტივი. აქ დამონტაჟებული ახალი ჩაის საშრობი მანქანა, რომელიც შექმნეს ქართველმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა რუს კოლეგებთან ერთად, ორჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ხელს უწყობს მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

◆

სისხლი გაძვირდა

სანქტ-პეტერბურგის საქალაქო საბჭომ სისხლის ჩაბარებისთვის ახალი ნიხრი დააწესა.

ახლა პეტერბურგელი დონორები ლიტრა სისხლის ჩაბარებისთვის 600 მანეთს და სადილისთვის კიდევ 50 მანეთს მიიღებენ. ამ მიზნებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით 17 მილიონი მანეთი გამოიყოფა.

◆

რუსეთის ბანკირებს შეიარაღება სურთ

რუსეთის ბანკების ასოციაციამ, რომელიც 500-ზე მეტ კომერციულ ბანკს აერთიანებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვა ბანკირებს იარაღის ტარების ნებართვა მისცეს.

ამას ბანკირები, კერძოდ, იმით ხსნიან, რომ ამ ბოლო ხანს საფრთხე ექმნება მათ პირად უსაფრთხოებას.

◆

„ჟიგული“ ნახევარ მილიონზე მეტი ღირს

27 აპრილიდან „ჟიგულები“ ერთნახევარ-ორჯერ გაძვირდა. ახლა მეხუთე მოდელი, რომელიც ამ ერთი კვირის წინათ 114 ათასი მანეთი ღირდა, 258 ათას მანეთად გაიყიდება. მეექვსე მოდელი დღეს 286 ათასი მანეთი ღირს, ხოლო პრესტიჟული 99-ე — ნახევარ მილიონზე მეტი — 586 ათასი მანეთი.

ტელეტაიპის ლენტიდან

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა ანდრია ბალანჩივაძის დამკრძალავი კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირაკლი სურგულაძის თავმჯდომარეობით.

ანდრია ბალანჩივაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდები გაიმართება 1 და 2 მაისს, დღის 4 საათზე განსვენებულის ბინაში — ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, 20, მე-2 სადარბაზო, მე-6 სართული.

გამოსვენება — 3 მაისს, დღის 3 საათზე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობიდან.

ანდრია ბალანჩივაძეს დაკრძალავენ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

კარიკატურისტის კომენტარი



სანამ პოლიცია [illegible] არ დაიწყებს მუშაობას, მანამ არც მე გავალ ყანაში, რად მინდა, რასაც მოვიყვან, მერე ეს მომპარავს!

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲜᲣᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲨᲐᲕᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ?

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲐ

21-22 აპრილს ბუქარესტში გაიმართა შავი ზღვის პრობლემებისადმი მიძღვნილი დიპლომატიური კონფერენცია, რომელმაც განიხილა და მიიღო გაჭუჭყიანებისგან შავი ზღვის დაცვის კონვენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს დელეგაციაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრი ბატონი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲙᲐᲜᲘ. ბუქარესტიდან დაბრუნებისთანავე ბატონ დავითს შეხვდა და ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი.

— ბატონო დავით, ვფიქრობ, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა თავის ერთ-ერთ პირველ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებას სწორედ ეკოლოგიის საკითხებზე მოაწერა ხელი. რას გვეტყოდით ბუქარესტის კონფერენციისა და იქ ხელმოწერილი კონვენციის შესახებ?

— როგორც იცით, ბუქარესტის კონფერენციას წინ უძღოდა მრავალი შეხვედრა... შავი ზღვის დაცვის კონვენციაზე მუშაობა 80-იანი წლებიდან დაიწყო. 1991 წლისთვის კონვენცია მზად იყო, მაგრამ ყოფილ საბჭოთა კავშირში დატრიალებული მოვლენების გამო მისი საბოლოო განხილვა და ხელმოწერა გადაიდო.

რუმინეთის მთავრობის ინიციატივითა და ხელშეწყობით 21-22 აპრილს ქ. ბუქარესტში მოიწვიეს სპეციალური დიპლომატიური კონფერენცია, რომელზედაც უნდა განხილულიყო კონვენციის საბოლოო რედაქცია. კონფერენციაზე დამფუძნებლების სტატუსით მოწვეული იყვნენ უშუალოდ შავიზღვისპირა ქვეყნები: ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა. მეთვალყურის სტატუსით კონფერენციას ესწრებოდნენ: სომხეთის, საბერძნეთის, მოლდოვეთის და იუგოსლავიის ოფიციალური წარმომადგენლები, აგრეთვე მთელი რიგი გარემოდაცვითი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციების რწმუნებულები.

საქართველოს დელეგაციაში ჩვენთან ერთად იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბატონი მალხაზ კაკაბაძე, მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის გარემოს დაცვის საკითხთა წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი ბატონი დავით გურგენიძე და საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტი ბატონი კახა ჩიტაია.

გაჭუჭყიანებისგან თავად შავი ზღვის დაცვის კონვენცია ძირითადად ეფუძნება წინა წლებში საერთოდ ზღვების დაცვის თაობაზე მიღებულ მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებს. მასში აღნიშნულია, რომ შავიზღვისპირა ქვეყნებმა, გაითვალისწინეს რა შავი ზღვის დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა, გამაჯანსაღებელი თვისებები, ის, რომ ზღვის ეკოსისტემის მდგომარეობა კატასტროფულად გაუარესებულია და მისი დაცვა შესაძლებელია მხოლოდ შავიზღვისპირა ქვეყნების საერთო ძალისხმევით, ხოლო შავიზღვისპირეთი წარმოადგენს მსხვილ საერთაშორისო საკურორტო რეგიონს, რომ ადრე მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ვერ ითვალისწინებენ გაჭუჭყიანებისგან შავი ზღვის დაცვის ყველა ასპექტს, რომ აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ა. შ., მიზანშეწონილად მიიჩნიეს გაჭუჭყიანებისგან შავი ზღვის დაცვის თაობაზე სპეციალური ხელშეკრულების მიღება.

— ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, შავი ზღვის გაჭუჭყიანების დონე ისეთი მაღალია, რომ თუ არა სასწრაფო კარდინალური ზომები, შეიძლება ამ საუკუნის მიწურულისთვის „მკვდარ" ზღვად გადაიქცეს. ამ თემაზე მრავლად ვხვდებით როგორც ჩვენი ავტორების, ისე საზღვარგარეთელი სპეციალისტების პუბლიკაციებს.

— მართლაც, დღეისათვის შავი ზღვის მდგომარეობა ძალზე სავალალოა. ეს ძირითადად განპირობებულია თავად შავი ზღვის სპეციფიკურობით. შავი ზღვა მსოფლიოს ზღვებს შორის ყველაზე უფრო მეტადაა მოცილებული მსოფლიო ოკეანეს, ღრმადაა შეჭრილი კონტინენტში და ამიტომ ყველაზე უფრო „ჩაკეტილია". ბოსფორის სრუტე, რომელიც მას მეზობელ ზღვებთან აკავშირებს, ძალზე ვიწროა (ცალკეულ ადგილებში მისი სიგანე მხოლოდ 750 მეტრია); გარდა ამისა ამ სრუტის საშუალო სიღრმე 33 მეტრს შეადგენს, თავად ზღვის საშუალო სიღრმე კი 1300 მეტრია. ყოველივე ამის გამო, მეცნიერთა მონაცემებით, შავი ზღვის წყლის მასის მთლიანი ცვლა 2000-2200 წელიწადში ერთხელ ხდება.

შავ ზღვას სხვა არასახარბიელო თავისებურებაც ახასიათებს. ზღვაში შემოსული მტკნარი წყლის ნამატი ზედა ნაკადით გაედინება ბოსფორის სრუტის გავლით მარმარილოს ზღვაში, ქვედა ნაკადით კი შემოდის მარილიანი წყალი. ამის გამო შავი ზღვა არ ხასიათდება წყლის ინტენსიური ვერტიკალური დინებებით და წყალბრუნვა, ზევიდან ქვევით და პირიქით, ძალზე შეზღუდულია.

ზღვის ძირითადი პრობლემაა მის სიღრმეში გოგირდწყალბადის მაღალი შემცველობა. სწორედ გოგირდწყალბადია ის მთავარი უარყოფითი ფაქტორი, რომლითაც განპირობებულია შავი ზღვის მცირე ბიოპროდუქტულობა. გოგირდწყალბადით შავი ზღვის სიღრმული წყლის „მოწამვლის" ფაქტი ჯერ კიდევ 1890-1891 წლებში დაადგინეს რუსმა მკვლევარებმა. სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ლაპარაკი იყო ამ გაზის შემცველობაზე 150-200 მეტრის სიღრმეში. ბოლო წლებში გოგირდწყალბადი უკვე აღინიშნება 75 მეტრ სიღრმეზე, სადაც ამ გაზის შემცველობა ერთ ლიტრში დაახლოებით 0,05 მილილიტრს შეადგენს.

შავი ზღვის თავისებურება ისიც არის, რომ ამ შედარებით მცირე ფართობის ზღვას საკმაოდ დიდი ფართობის წყალშემკრები აუზი აქვს, თანაც ძალზე რთული და განვითარებული ინფრასტრუქტურით (თურქეთის სანაპიროს გამოკლებით), რის გამოც ზღვის გაჭუჭყიანების ძირითადი წყაროა კონტინენტური ჩამონადენები, განსაკუთრებით მდინარეები დუნაი, დნესტრი, სამხრეთის ბუგი, დნეპრი, რიონი, აგრეთვე დონი (აზოვის ზღვის მხრიდან).

ზღვის გაჭუჭყიანებაში თავიანთი „წვლილი" შეაქვთ ისეთ მნიშვნელოვან ნავსადგურებს, როგორიცაა: ოდესა, ნოვოროსიისკი, ტუაფსე, ფოთი, ბათუმი, განსაკუთრებით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვა-ტრანსპორტირების პროცესებისას. ამის გამო წლის ნებისმიერ დროს ზღვის ცენტრალურ თუ სანაპირო რაიონებში მუდმივადაა ნავთობის ფენები, რომელთაც ჯამში მთელი ზღვის ზედაპირის ფართობის 2-2,5 პროცენტი უკავია.

— უდავოა, რომ შავი ზღვის მდგომარეობა ძალზე შემაშფოთებელია. რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის სანაპირო ზოლში?

— ვიდრე შავი ზღვის გაჭუჭყიანებაში ჩვენი რესპუბლიკის „წვლილზე" მოგახსენებდეთ, მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ზღვის კიდევ ერთ, ამჯერად ჩვენთვის, ასე ვთქვათ, სასარგებლო თავისებურებაზე. ატმოსფეროს ციკლონური ცირკულაცია და კონტინენტური ჩამონადენი განსაზღვრავს ზღვაში წყლის ციკლონურ ბრუნვას — ძირითადად საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. წყლის ამგვარი მოძრაობის შედეგად უმეტეს წილად ჩვენს სანაპიროსკენ ზღვის წყალი მოძრაობს თურქეთის მხრიდან და არა პირიქით. თურქეთის სანაპიროზე კი, მოგეხსენებათ, სუსტადაა განვითარებული მრეწველობა, ზღვაში არ ჩაედინება რთულ ინფრასტრუქტურიანი წყალშემკრები აუზის მქონე მდინარეები და, ამდენად, ამ მხრიდან შედარებით სუფთა წყალი მიედინება ჩვენი სანაპიროსკენ. ამითი იმის თქმა მინდა, რომ სხვა ქვეყნის „წვლილი" ჩვენი სანაპიროს გაჭუჭყიანებაში თითქმის არ არსებობს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სანაპიროს მნიშვნელოვანი გაჭუჭყიანებისთვის ჩვენი „წვლილიც" სავსებით საკმარისია.

მართალია, 1977-1990 წლებში წყალდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე დასავლეთ საქართველოს რეგიონში 100 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალდაბანდებანი აითვისეს, რის შედეგადაც 20 ქალაქისა და დასახლებული პუნქტისთვის, აგრეთვე ისეთი მსხვილი ობიექტებისთვის, როგორიცაა „საქქაღალდმრეწვი", „ჭიათურმანგანუმი", ქუთაისის ავტოქარხანა, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ტყვარჩელის თბოსადგური, კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და სხვა აშენდა წყალდაცვითი ნაგებობები, მაგრამ უხარისხო მშენებლობის დაუმთავრებლად ჩაბარების, საკანალიზაციო სისტემების მოუწყობლობის, ექსპლუატაციის ძალზე დაბალი დონის და სხვა მრავალი მიზეზის გამო გამწმენდი ნაგებობები ფაქტობრივად ვერ ფუნქციონირებს, რის შედეგადაც რეგიონში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო თუ სამრეწველო, ჩამდინარე წყლების 60-70 პროცენტი გაუწმენდავად ჩაედინება მდინარეებში და შემდგომ შავ ზღვაში.

ძალზე სერიოზული პრობლემებია დაკავშირებული საყოფაცხოვრებო ნაგვის გადამუშავება-უტილიზაციასთანაც. არსად რეგიონში, მათ შორის ზღვისპირა ქალაქებსა და კურორტებშიც, არ არსებობს ნაგვის გადამმუშავებელი ქარხნები. ძირითადად ნაგავი გროვდება მოუწყობელ ადგილას, ხშირად მდინარეთა ნაპირებზე, რაც რეგიონისთვის დამახასიათებელი ხშირი ნალექებისა თუ წყალდიდობების პერიოდში ხშირად ხდება ზღვის დამატებითი გაჭუჭყიანების წყარო.

სერიოზული პრობლემებია ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მხრივაც, სოხუმ-ბათუმის მონაკვეთის 30-კილომეტრიან სანაპირო ზოლში განლაგებულია 130-ზე მეტი მსხვილი თუ მცირე სამრეწველო საწარმო, რომლებიც მავნე ნივთიერებებს აფრქვევენ. გარდა ამისა, ავტომაგისტრალებზე, რომლებიც ზღვის სანაპიროს ესაზღვრება, მოძრაობს 50 ათასზე მეტი ავტომანქანა; საკურორტო სეზონში ეს ციფრი მნიშვნელოვნად იზრდება. რეგიონის სამრეწველო საწარმოები ატმოსფეროში გამოაფრქვევენ წელიწადში 70 ათას ტონაზე მეტ მავნე ნივთიერებას, მათ შორის: მყარ ნაწილაკებს, ნახშირწყალბადს, ნახშირჟანგს, გოგირდოვან ანჰიდრიდს, აზოტის ჟანგს. ამ ნივთიერებათა უმეტესობა ზღვის ზედაპირზე ილექება და წყლის დამატებით გაჭუჭყიანებას იწვევს. ამას ადასტურებს სოხუმ-ბათუმის მონაკვეთზე აღებული ატმოსფერული ნალექების სინჯების ქიმიური ანალიზიც. ნალექებში აღმოჩენილია მჟავური ჯგუფების და სხვა ქიმიური ელემენტების იონების მაღალი შემცველობა.

— გამოდის, რომ კონვენციამ ბეწვზე მიუსწრო შავ ზღვას?!

— მე თუ მკითხავთ, კონვენციის მიღება ცოტა დაგვიანდა კიდეც. თუმცა ამას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება განსაზღვრავს ქვეყნების არა მარტო უფლებებს, არამედ მოვალეობებსაც. კონვენციის მონაწილე ქვეყანა ვალდებულია ყველაფერი იღონოს, რათა უზრუნველყოს შავი ზღვის სისუფთავე და წყლის ხარისხისადმი მუდმივი კონტროლი. მოსამზადებელი და მისაღები იქნება მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, ნორმები, წესები. განსახორციელებელი იქნება წყალდაცვითი ღონისძიებები საქალაქო მეურნეობის გამართვის მხრივ, სამრეწველო საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების მოწესრიგებისა თუ მათი გარემოსდაცვითი ობიექტებითა და მოწყობილობებით აღჭურვის მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. უნდა მოგახსენოთ, რომ ბუქარესტში ჩვენი დელეგაციის ძალისხმევის შედეგად ვარნის, კონსტანცის და ოდესის ზღვის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების გვერდით საერთაშორისო კვლევით პროგრამებში ჩაერთო ბათუმის თევზის მეურნეობისა და ზღვის ეკოლოგიის ინსტიტუტიც. კონვენციის მონაწილეობა საშუალებას მოგვცემს უკვე ამ ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების საშუალებით ფართოდ მოვიწვიოთ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო დახმარების ფონდები. მოკლედ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის დაცვის საქმეში იწყება ახალი ერა.

გაგაცნობთ ბუქარესტის კონფერენციის მონაწილეთა მიერ მიმდინარე წლის 21 აპრილს ხელმოწერილი საბოლოო აქტის ტექსტს მცირედი შემოკლებით.

21-22 აპრილს ბუქარესტში გაიმართა გაჭუჭყიანებისგან შავი ზღვის დაცვისადმი მიძღვნილი დიპლომატიური კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ შავიზღვისპირა ქვეყნების ბულგარეთის რესპუბლიკის, საქართველოს რესპუბლიკის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთის რესპუბლიკისა და უკრაინის წარმომადგენლები.

კონფერენციას მეთვალყურის სტატუსით ესწრებოდნენ აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის, საბერძნეთის რესპუბლიკის, მოლდოვეთის რესპუბლიკისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები. ასეთივე სტატუსით მონაწილეობდნენ დუნაის კომისიის, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები.

კონფერენციის გახსნას დაესწრო და მონაწილეებს მიესალმა რუმინეთის პრეზიდენტი, მისი აღმატებულება ბატონი იონ ილიესკუ.

კონფერენციამ განიხილა და მიიღო გაჭუჭყიანებისგან შავი ზღვის დაცვის კონვენცია სამი ოქმითურთ, რომლებიც დღიდან მისი განუყოფელი ნაწილია, კერძოდ:

— ოქმი ხმელეთზე მდებარე წყაროებიდან გაჭუჭყიანებისგან შავი ზღვის დაცვის შესახებ;

— ოქმი საგანგებო ვითარებაში ნავთობპროდუქტებითა და სხვა მავნე ნივთიერებებით შავი ზღვის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ;

— ოქმი ნარჩენების ჩამარხვის შედეგად გაჭუჭყიანებისგან შავი ზღვის დაცვის შესახებ;

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე რამდენიმე რეზოლუცია, რომლებიც თან ერთვის საბოლოო აქტს.

გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის კონვენციას ხელი მოაწერეს: ბულგარეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრმა ვალენტინ ვასილევმა, საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრმა დავით ნაკანმა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ თევდორე შელოვ-კოვედიაევმა, რუმინეთის გარემოს დაცვის მინისტრმა მარჩიან ბლეახუმ, თურქეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრმა დოგანკან აქიურექმა და უკრაინის გარემოს დაცვის მინისტრმა იური შჩერბაკმა.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲖᲔ

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲣᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ,
პოლკოვნიკი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ᲛᲝᲮᲓᲐ ის, რაც დიდი ხანია უნდა მომხდარიყო — საბჭოთა იმპერია დაიშალა და დადგა საკუთარი საზღვრების აღდგენის ხელსაყრელი დრო, მაგრამ... თვე თვეს მისდევს, საქართველოს კი სახელმწიფო საზღვრები დღემდე არა აქვს.

ერთადერთ სახელმწიფო საზღვრად შეიძლებოდა ჩათვლილიყო საზღვარი თურქეთთან, მაგრამ მას ახლა არ ცნობს საერთაშორისო სამართალი, მოსაზღვრე თურქეთი, საბჭოთა კავშირის პირდაპირი მემკვიდრე რუსეთი და, რაც მთავარია, ქართველების მაგივრად ამ საზღვარს უცხო ქვეყნის მესაზღვრეები იცავენ. ვინ თქვას, რა ჰქვია ამ სახელმწიფოს? სსრკ? — უკვე დაიშალა; დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა? — საქართველო მისი წევრი არ არის; რუსეთი? — რა უფლებით უნდა წყვეტდნენ სხვები, თუ ვინ შემოუშვან ჩვენს ეზოში და ვინ არა, ვინ გაუშვან და ვინ დააკავონ, რით გაატარონ და რა აუკრძალონ?! აი, უმწვავესი საკითხები.

როგორ ავხსნათ, თუ რატომ ჩვენ, ქართველები არ ვიცავთ საკუთარი რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებს? მარტო იმით, რომ შეუძლებელია დავიცვათ ის, რაც არ გაგვაჩნია? რომ გაგვაჩნდეს? — განა მზად ვართ მის დასაცავად? და რომ არ ვართ, ვისი ბრალია? დამოუკიდებლობა საზღვრებით იწყება; 1918 წლის 11 ივნისს (დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-15 დღეს) შეიქმნა საზღვრების გამომრკვევი კომისია, რომელშიც შედიოდნენ ირაკლი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროყვა და გენერალი ოდიშელიძე.

როგორ ვიქცევით დღეს ჩვენ? — მალე დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავს ვიზეიმებთ, საზღვრები სომხეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან ძველებურად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტატუსით დავტოვეთ, რომელსაც მსურველი ნებისმიერ დროს ნებისმიერი ტრანსპორტით გადმოლახავს, შემოტანითაც, რასაც უნდა, შემოიტანს და გატანითაც, რასაც უნდა, გაიტანს!

როდის მოეღება ბოლო საქართველოს საზღვრების ასეთ დაუცველობას?

ისტორიის ქარცეცხლში საქართველომ შესაძლებლობის მაქსიმუმი დაკარგა, მაგრამ შეინარჩუნა ტერიტორიის ნაწილი, რომელშიც სხვისი მიწის გოჯიც არ არის, ამიტომ თითქოს არც უნდა გვეშინოდეს, რომ ვინმე ისტორიულ საზღვრებს მოგვედავება, მაგრამ... ქართული მიწის მადლი და სილამაზე არც შორეულ მოშურნეს ასვენებს და არც ახლობელს. საწადელის მიღწევას ყველა იმ ხერხით აპირებს, მას რომ აძლევს ხელს. ერთისთვის ეს რელიგიური პრინციპია, მეორესთვის — სასაზღვრო რაიონებში მცხოვრებთა ეროვნულობის ნიშანი, მესამისთვის — მოსახლეობის ეგრეთ წოდებული „ვოლეიზლიანიე". თავიანთ მოქმედებას კანონიერი სახე რომ მისცენ, საზღვრების დადგენის თანამედროვე ველოსიპედს იგონებენ. ამას ერთი და ორი კაცი კი არ შვრება, ამაზე მთელი სისტემა მუშაობს. დავასახელებთ მხოლოდ სამ მათგანს. ლევ გუმილიოვის აზრით, „სამუდამოდ რომელიმე ხალხზე მიმაგრებული ტერიტორიები არ არსებობს. ყოველ ეთნოსს გამოყოფილი აქვს გარკვეული ისტორიული ვადა, რომლის ფარგლებში მისი ბინადრობის ტერიტორია შეიძლება შეიცვალოს".

სიკვდილის წინ ა. სახაროვმა შესანიშნავი „იდეა" დაგვიტოვა: თუ გინდათ ერების თვითგამორკვევის პროცესი დაასრულოთ და სეპარატიზმი ერთხელ და სამუდამოდ გადააშენოთ, „ორიენტაცია აიღეთ არა საზღვრებზე, არამედ ეროვნებებზეო".

ეროვნებით ბერძენი გაბრიელ პოპოვი გვთავაზობს: „ყოფილი საბჭოთა კავშირის შიგნით არსებული ყველა საზღვარი გაუქმდეს. ეროვნული ნიშნით დანაწევრებულ რაიონებში ჩატარდეს რეფერენდუმი ადგილობრივ მცხოვრებთა ნების დასადგენად თუ რომელ რესპუბლიკაში ექნებათ მათ ცხოვრების სურვილი. რეფერენდუმის შედეგად წარმოიქმნება სახელმწიფოები ახალი, ყველაზე სამართლიანი და ყველაზე დემოკრატიული საზღვრებით";

„ყველაზე სამართლიანი და ყველაზე დემოკრატიული" საზღვრების შექმნა უწინარესად გამიზნულია საქართველოს ხარჯზე. იგი რუსეთის იმპერიაში ყველაზე ურჩი გამოდგა. მან ერთადერთმა გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა კომუნისტებს. გამარჯვებულმა რუსმა ბოლშევიკებმა საქართველოს ხარჯზე ნამდვილი კავკასიური ხელგაშლილობა გამოიჩინეს და დამსახურებისამებრ დააჯილდოვეს ყველა, ვინც დაეხმარა მათ ჯიუტი ქვეყნის „გაწითლებაში". აღმოსავლეთ კახეთი ანუ საინგილო გადასცეს აზერბაიჯანს, ქვემო ქართლის სამი ადმინისტრაციული რაიონი — ისტორიული ლორე — სომხეთს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო — ყარსის ოლქს, და ქუთაისის გუბერნიის ნაწილი — თურქეთს, საქართველოს ცენტრალურ ნაწილში შექმნეს ოსების სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი; ერთიანი საქართველო ოთხ ნაწილად დააქუცმაცეს ტერიტორიულად 23 ათასი კმ²-ით შეამცირეს. ურჩი ქართველობა სამაგალითოდ დაისაჯა, ერთი უკმაყოფილო რესპუბლიკის მაგივრად რუსეთმა ხუთი მადლიერი ქვეყანა შეიძინა; ამ უმძიმესმა დანაკარგმაც ვერ ჩაკლა ქართველების სულში დამოუკიდებლობის იდეა, რაც დღეს ძვალივით გაეჩხირა ჩრდილოელ მეზობელს ყელში, და მან რესპუბლიკის საზღვრები სტენდის სამიზნედ გაიხადა: ან ტერიტორიული მთლიანობა ეგრეთ წოდებულ თანამეგობრობაში, ან სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და...

ასეთი მწარე არჩევნის წინაშე საქართველო დიდი ხანია არ მდგარა.

„თანამეგობრობა" რომ მარტო ეკონომიკური კავშირი იყოს, კიდევ ჰო, ერთიან გზებს, მიმოსვლის საშუალებებს, ერთიან ფოსტა-ტელეგრაფს კიდევ შეიძლება გაუძლოს პატარა საქართველომ, მაგრამ ერთიან შეიარაღებულ ძალებს, ერთიან საგარეო პოლიტიკას, ერთიან ენას? მერე — კიდევ რაღაც „ერთიანი" დაემატება და ძველებური უნიტარული სახელმწიფოს სტრუქტურებში აღმოვჩნდებით, რომელშიც „ერთიანი" მხოლოდ სილატაკე იქნება. არა, ასეთ სახელმწიფოში ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია! მაგრამ ვინ თქვა, რომ აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და ჯავახეთის ხარჯზე იგი შესაძლებელია?!

მაშინ, როცა ცივილიზებული სამყარო საზღვრების ლიკვიდაციას გეგმავს, პროგრესული კაცობრიობა ინტეგრაციას გზით მიდის, თქვენ შემხვედრი მხარით ვმოძრაობთ, გუშინდელი ადმინისტრაციული საზღვრების სახელმწიფო საზღვრებად გადაქცევა უგუნურობაა, ტერიტორიული განცალკევება კი დამღუპველიაო, გვარწმუნებენ მავანნი და მოგვიწოდებენ საზღვრების ღიად დატოვებას.

ინტეგრაციის გზით მიმავალი ქვეყნები ღიად მხოლოდ ეკონომიკურ საზღვრებს ტოვებენ, თავიანთ ტერიტორიებს საკუთარი ნება-სურვილით თავისუფალი ვაჭრობის ზონად აცხადებენ და საბაჟოებს კი არ სპობენ, არამედ მათზე გავლა-გამოვლის პროცედურებს აიოლებენ, რაზეც ქვემოთ მოყვანილი ერთი სატირული მაგალითიც მოწმობს:

ახალგაზრდა დანიელმა კაცმა პასპორტში ლამაზი მაიმუნის სურათი ჩააკრა და ასეთი საბუთით დაუბრკოლებლად გადალახა ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის და ლუქსემბურგის საზღვრები:

არც ჩვენ ვგეგმავთ საქართველოს საზღვრების ბოქლომებით ჩაკეტვას და გასაღების ცხრაკლიტურში შენახვას. საზღვრები იმიტომ კი არ გვინდა, რომ დანარჩენ მსოფლიოს გამოვეყოთ. პირიქით, მაგრამ ის, ვინც გვეუბნება, რომ საზღვრების მოწყობა-დაცვა ზედმეტი ხარჯია, ნაწილობრივ არის მართალი; ის ვინც ჩვენს მომავალ საზღვრებს „ძეხვის საზღვრებს" არქმევს, საკუთარ თავს შეურაცხყოფს; ის ვინც მუქთად გვთავაზობს ჩვენი მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის (თურქეთთან) დაცვას, მთლად ჩვენი მოკეთე არ არის. ყველა ერთად, ვინც სიტყვით და საქმით, აშკარად თუ ფარულად ხელს გვიშლის გვქონდეს საკუთარი საზღვრები, — საქართველოს დამოუკიდებლობის მტერია. იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა საზღვრებით იწყება. საზღვრებმა დამოუკიდებლობა უნდა მოგვიტანოს და არა დამოუკიდებლობამ — საზღვრები. ყველა ქვეყნისთვის და ყოველთვის ასე იყო. საქართველო გამონაკლისი ვერ გახდება.

გვჯერა, რომ სულ მალე საქართველოს, სულ ცოტა, ოთხი სახელმწიფო საზღვარი და ამდენივე მოსაზღვრე სახელმწიფო ეყოლება. მაგრამ ეს არ არის მსაზღვრელი. მთავარია, რამდენი სახელმწიფო საზღვარიც და რამდენი მოსაზღვრე ქვეყანაც უნდა გაუჩნდეს საქართველოს, ყოველმხრივ საიმედოდ დაცული და ყველა მათგანთან მეგობრულ დამოკიდებულებაში უნდა დარჩეს.

ეს არცთუ იოლი საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთი ქართველი რესპუბლიკის საზღვრებს ისე საზღვრავს, როგორც რუსმა ნოზდრევმა ჩიჩიკოვს მოუხაზა თავის სამფლობელო: „ყველაფერი, რაც იმ ტყემდე არის, ჩემი მიწაა, და ყველაფერი რაც ტყის იქით არის, ისიც ჩემიაო". საქართველოს საზღვრების დადგენის ასეთმა „მეთოდმა" ქართულ მიწად ჩაგვითვლევინა არა მარტო ოდესღაც მართლა ჩვენი, არამედ ყველა ის ადგილი, სადაც ჩვენს წინაპარს ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი. „ჩვენ აღვუდგენთ საქართველოს მე-13 საუკუნის საზღვრებსო", — განაცხადა ბატონმა აკაკი ასათიანმა ერთ-ერთ მიტინგზე. დაპირებებში „მრგვალებმა" ზომიერება არ იცოდნენ, ისევე, როგორც ტაშის დაკვრაში მათმა მხარდამჭერებმა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პარიზის 1919 წლის საზავო კონფერენციაზე მხოლოდ ის მიწები მოითხოვა, რომელიც საქართველოს ყოველთვის ეკუთვნოდა, მისთვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს სხვა ხალხების საარსებო ინტერესებს არ ეხებოდა. და ეს მაშინ, როცა ამავე კონფერენციაზე წარდგენილ სომხურ რუკაზე სომხეთში „შესული" აღმოჩნდა თბილისის, ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი, ხოლო აზერბაიჯანულ რუკაზე აზერბაიჯანში „მოექცა" საინგილოს (ზაქათალა), ბორჩალოს და ახალციხის მაზრები, ბათუმის ოლქი! საქართველოს რუკაზე მე-13 საუკუნის საზღვრების კონტურებიც კი არ იყო აღნიშნული, საეჭვო-საკამათო მიწების გოჯიც კი არ იყო ნაჩვენები?

რა იყო ეს? — საქართველოს დემოკრატიული მთავრობის განსაკუთრებული სიდინჯე, წინდახედულობა და ჭეშმარიტი სიბრძნე, თუ ასათიანზე და მისნაირზე ნაკლები პატრიოტობა?

წამით დაფიქრდი, მკითხველო, და გონების თვალით შეხედე საქართველოს საზღვრებს. გვესაზღვრება სახელმწიფო, რომლის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ გაგვაჩნია? არის მათ შორის თუნდაც ერთი ქვეყანა საპასუხო პრეტენზიებით რომ არ გვიპასუხოს?

ვის მხარეზეა ჭეშმარიტება? — ორი სიმართლე, როგორც ცნობილია არ არსებობს, ერთი კი ქადაგებს: პლანეტაზე უდავო სახელმწიფო საზღვრები არ არსებულა და არც არსებობს. მაშინ ღირს კი ფანქრით ხელში ვთვალოთ და ვხაზოთ — სად გადიოდა საქართველოს გუშინდელი მიჯნები, და სად უნდა გაიაროს ხვალინდელმა საზღვრებმა? ვისთან რამდენი ქართული მიწის „ნაგლეჯი" მოხვდა, რამდენი ჰექტარი საძოვარი დარჩა? მიტინგებზე ვიძახოთ ლოზუნგები — „გადაისინჯოს", „გადანაწილდეს", „გადაადგილდეს", „დაგვიბრუნდეს" საზღვრები, და საქართველოსათვის მარტო არითმეტიკის ორი მოქმედება — მიმატება და გამრავლება — ვიქონიოთ მხედველობაში, ხოლო მეზობლებისათვის მარტო გამოკლება და გაყოფა?

რამდენიც უნდა ვაგინოთ სტალინსა და ორჯონიკიძეს ქართული მიწების „გაჩუქებისთვის", რამდენიც უნდა ვბეჭდოთ რუკები საქართველო ამა და ამ საუკუნეში, დღევანდელ საქართველოს ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებსაც კი არავინ დაუბრუნებს; მხოლოდ იმიტომ, რომ ის მიწები, რომლებზეც პრეტენზიებს ვაცხადებთ, დიდი ხანია გახდა მეზობელი ხალხების განუყოფელი ნაწილი.

რაგინდ მტკივნეულიც უნდა იყოს ჩვენთვის ეს საკითხი, რაგინდ მწარეც უნდა გვეჩვენოს დანაკარგი, იგი ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ და არამც და არამც არ უნდა აღმოვჩნდეთ საზღვრების გადაკეთება-გადმოკეთებაში ჩათრეული. იგი ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. უფრო მეტიც, საქართველოსთვის დამღუპველი აღმოჩნდება. დადგა დრო, ვაღიაროთ, რომ საქართველოს დღეს საერთაშორისო პრინციპების სრულიად შესაბამისი სამართლიანი სახელმწიფო საზღვრები აქვს; რომ ამ საზღვრების შენარჩუნების საზღაური ჩვენმა წინაპრებმა სისხლის მდინარეებით გადაიხადეს და მისი გადასინჯვა-გადაკეთებისთვის ახალი მსხვერპლის ვალება ახლა მიზანშეწონილი არ არის.

საქართველო ერთხელ და სამუდამოდ იზიარებს საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპს, ხდის მას საგარეო პოლიტიკის პრინციპად, საქვეყნოდ აღიარებს საზღვრების დადგენის ცივილიზებულ ფორმებს, უერთდება ჰელსინკის აქტს...

მეზობელ ქვეყნებს, ისევე როგორც მშობლებს, არ ირჩევენ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ყველა მოსაზღვრე ქვეყანასთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყოთ. მათ შორის რუსეთთანაც.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეზობელთაგან (ლე') მხოლოდ ამ ქვეყანას ვაგინებთ. ნეგატიურ რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებას მწვანე შუქს ვუნთებთ, პოზიტიურს — ვივიწყებთ. რუსეთმა, მართლაც, ბევრი ქართული მიწა გააჩუქა, მაგრამ რა იქნება ხანდახან აღვნიშნოთ, მაგალითად, რომ იმავე რუსეთმა დედა საქართველოს აბასთუმანი, ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი და აჭარა საკუთარი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სისხლით დაუბრუნა?

სხვა ფაქტებს ვინც მოისურვებს, იპოვის.

მე კი სულ სხვა მოსაზრებით ვუდგები რუსეთ-საქართველოს პოზიტიურ ურთიერთობას. სულ მალე ჩვენ გაგვყოფს სახელმწიფო საზღვარი. ვიმედოვნებთ, ამჯერად საბოლოოდ. უმნიშვნელო როდია, როგორ დავცილდებით ერთმანეთს. როგორადაც დავცილდებით, საზღვარიც იმნაირივე გვექნება.

საზღვარი მესაზღვრის საზრუნავია, და მისთვის სულ ერთი არ არის მოპირდაპირე მხარეს მტერი ეყოლება თუ მოყვარე, თვალებში სიკვდილს უყუროს თუ სიცოცხლეს.

მჯერა, რომ გვექნება თანამედროვეობის შესაფერისად მოწყობილი, საიმედოდ დაცული საქართველოს საზღვრები. გვეყოლება ცივილიზებული ქვეყნების შესაფერისი მესაზღვრეები.

როდის? ეს მე რომ ვიცოდე, ამ წერილს არც დავწერდი..

● ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ

ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ დღე დგება საქართველოში — რეალური დამოუკიდებლობა მოგვდგომია კარს, თუმცა გარეულ თუ შინაურ მტერს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაუყრია ფარ-ხმალი, დროა კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ ჩვენი ეკონომიკური მოღონიერების გზაზე, ეს ყველაზე საიმედო გარანტი იქნება საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ვისაც საქართველო უყვარს, ქართველია თუ არა, მისი ეკონომიკური აღმავლობისთვისაც უნდა იღვწოდეს და პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციისაც ხელს უწყობდეს, ვისაც როგორ შეუძლია, ისე უნდა ემსახუროს მამულსა და ერს.

ქვემო ქართლსა თუ სამაჩაბლოში არაერთხელ ვყოფილვარ ეროვნული მილიციის გვერდით და ვიცი, როგორ უჭირს მას უიარაღობის გამო. ამ მხრივ უჭირს ეროვნულ გვარდიასაც, თუმცა არც ტრანსპორტით, ტანსაცმლითა თუ სურსათით არიან განებივრებულნი.

ვიცი, უჭირს მოსახლეობასაც. სასურსათო პროდუქტების გაძვირებამ ბევრი ოჯახი უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა და, ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საერთო გაჭირვებას მხოლოდ საერთო ძალისხმევა უშველის.

ისტორიამ კარგად იცის, თუ როგორი წვლილი შეიტანა ჩვენმა ხალხმა უნივერსიტეტის მშენებლობის საქმეში. დრო გავიდა და შთამომავლობამ იგრძნო ის დიდი სიკეთე, რომელიც ქართული განათლების ამ კერამ ერის აღორძინების საქმეს მოუტანა. უფრო შორსაც გავიხედოთ. ქართველი ქალები სამკაულებსაც კი იხსნიდნენ გაჭირვების ჟამს, ოღონდაც ქვეყნისთვის ეშველათ.

ღვთის წყალობით, ჯერ სოფელიც ღონიერი გვაქვს და გონიერი და შემძლე კაციც ბლომად მოგვეპოვება. ყველას თუ არა, გარკვეულ ნაწილს დღესაც გვაქვს საშუალება ჩვენი ვალი გავიღოთ საქართველოს განვითარებისთვის. უფრო მეტიც, ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ დაარსებული საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდი ხომ სწორედ ამ მიზანს უნდა მოემსახუროს.

არ ვიცი, რამდენად მისაღებია ჩემი წინადადება, მაგრამ, როგორც ქართველს, გული მიკარნახებს და სათქმელი უნდა ვთქვა.

კარგი იქნება, თუ საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდიდან ცალკე შეიქმნება ოქროს ფონდი, რომელიც მომავალში ბაზა გახდება ქართული ვალუტის შესაქმნელად. ყველამ თუ არა, ვისაც ხელგვეწიფება, 3-4 გრამი ოქრო რომ გავიღოთ ქვეყნის საკეთილდღეოდ, ამით ჩვენი ოჯახები არ გაღარიბდება, სახელმწიფოს კი, ალბათ, დამეთანხმებით, საგრძნობლად შეუწყობს ხელს. საქართველოში 4-5 ტონა ოქრო რომ შეგროვილიყო...

ისინი, ვინც თავიანთ მამულიშვილურ ვალს მოიხდის, ოფიციალურად უნდა გატარდნენ რეგისტრაციაში. არა იმიტომ, რომ ეს განდიდებას სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ არც ერთი მისხალი ძვირფასი ლითონი არ დაიკარგოს ან ნიადაგი არ შეექმნას მითქმა-მოთქმას.

სხვებისა არ ვიცი, მე კი გადაწყვეტილი მაქვს საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდში 10 გრამი ოქრო და 5000 მანეთი ფული შევიტანო.

ზოგს შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს, ამ კაცს სიმდიდრე ალაპარაკებსო. საქმე ასე არ არის. მე საქართველოს სიყვარული და მასზე ფიქრი მალაპარაკებს.

ქართველო მამულიშვილნო, და თქვენც, ვისთვისაც საქართველო სამშობლოდ ქცეულა, ერთნაირი ძალისხმევის, გულუხვობის გამოჩენა გვმართებს. ეს ჩვენი, ჩვენი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილებისთვის, საქართველოს ნათელი მომავლისთვის არის საჭირო.

მივეშველოთ საქართველოს!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ,
შრომის ვეტერანი.

ᲨᲔᲜ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ?

● ᲔᲥᲝ

ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲯᲔᲗ

ეს პუბლიკაცია, რომელსაც დღეს მკითხველს ვთავაზობთ, 16 მარტის „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ბატონ ოთარ მელქაძის სტატიას — „ზოგი ჭირი მარგებელიას" მოჰყვა პასუხად.

ᲩᲔᲛᲘ მისამართით წამოყენებული ბრალდებები იმდენად აბსურდულად მეჩვენა, რომ ვიფიქრე, რაიმე უნებლიე შეცდომა ხომ არ მოუვიდა-მეთქი და ავტორს ტელეფონით დავუკავშირდი, მაგრამ მან ვერც კი გაიხსენა, თუ რომელმა ჩემმა ტელეგადაცემამ, პუბლიკაციამ თუ სხვა საჯარო გამოსვლამ მისცა მას საფუძველი, ჩემი ლანძღვისათვის სტატიაში, რომელშიც „მედროვე" ყველაზე რბილი ტერმინია. მაშინვე ნათელი გახდა, რომ ჩემი აუგად მოხსენიება ავტორს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის გამოსაჩენად დასჭირდა, ვინაიდან წერილში გაკრიტიკებული სხვა პირები, დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, ყველასათვის ადვილად ხელწამოსაკრავი გახდნენ ამ ბოლო დროს და მხოლოდ მათი გალანძღვით ის პრინციპული კაცის სახელს ვერ მოიხვეჭდა.

ყოველივე ამან მაფიქრებინა, რომ ბატონი ოთარის გადემოკრატებისა და მისი დემოკრატიის დამცველად გამოსვლის ფაქტში საზოგადოებისათვის მეტად საშიში სიმპტომი შეიმჩნევა. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე უპასუხოდ არ დამეტოვებინა ეს პუბლიკაცია. კერძოდ, ეტყობა, ამ სტატიის გამოქვეყნება ასაბუთებს იმ გავრცელებულ აზრს, რომ ძველი პარტიული ბიუროკრატიის ხელმოცარულ წარმომადგენლებს სურთ საქართველოში მომხდარი დემოკრატიული რევოლუცია საკუთარი ძალაუფლების აღდგენისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტების დაკავებისათვის გამოიყენონ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ყოველი რევოლუციის შემდეგ ძველი ხელმძღვანელობის გარკვეული ნაწილი რჩება მართვის სადავეებთან. სხვაგვარად ქვეყნის ნორმალური მართვა წარმოუდგენელია. მაგრამ რჩება სწორედ მათი ნაწილი, ერისათვის ყველაზე საჭირო, და არა მთელი ყოფილი „მმართველი კლასი", ვინაიდან ასე გარდაუვალი იქნებოდა ძველი რეჟიმის სრული რესტავრაცია.

შევეცდები დავასაბუთო, რატომ დავინახე ამ ტენდენციის სიმპტომად სწორედ ბატონ მელქაძის ზემოხსენებული წერილი.

სტატიის ძირითადი მიზანი რომ დემოკრატიული რევოლუციის მხარდაჭერა და დიქტატორული რეჟიმის კრიტიკა, გამსახურდიას პოლიტიკის შეცდომებისა და დანაშაულობების გამომზეურება ყოფილიყო, ავტორი მას ბევრად უფრო ადრე დაწერდა, მაშინ, როდესაც დემოკრატიული ძალების გამარჯვება ჯერ კიდევ საეჭვო იყო და ამ ძალებს მართლაც საყოველთაო მხარდაჭერა სჭირდებოდა. მაგრამ იგი ეტყობა, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდა გამსახურდიას მომხრეების ამბოხების დამარცხებაში, დემოკრატიას მხოლოდ შორიდან გულშემატკივრობდა. ახლა კი ცხადია პატივცემული ავტორის სურვილი ჩაეწეროს „გამარჯვებულთა ბანაკში" და დაიბრუნოს დაკარგული სავარძელი.

ავტორი რომ მართლაც დემოკრატიული ძალების გამარჯვებით იყოს დაინტერესებული და არა საკუთარი თავის წარმოჩენით, ის, პირიქით, მიესალმებოდა ყოფილი პრეზიდენტის ყოფილი თანამშრომლის ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილის მხრივ მისი პოლიტიკის არგუმენტირებულ კრიტიკას და ახალი ხელისუფლების მხარდაჭერას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ძალით ვუბიძგებთ ყველას, ვინც კი თავის დროზე ხმა მისცა გამსახურდიას, დღეს ოპოზიციაში ჩაუდგეს დღევანდელ ხელისუფლებას.

კომუნისტური პროპაგანდის ფორმებსა და მეთოდებში ავტორის გათვითცნობიერებაზე მეტყველებს ისიც, თუ რა ოსტატურად ცდილობს საკუთარი ნაკლის სხვისთვის მიწერას.

აი, როგორ უხსნის ის დროებით მთავრობას: „თითქმის სიობრივი აღდგენა ხდება იმ ხელმძღვანელი მუშაკებისა, რომლებიც უკანასკნელი წლის მანძილზე იყვნენ გათავისუფლებულნი", თითქოს მისი მთელი ძალისხმევა ამ სიაში მოსახვედრად არ იყოს მიმართული ან თავად სჯობდეს რაიმით იმ ყოფილ პარტიულ ფუნქციონერებს, რომლებიც დღეს ახალ მთავრობას ემსახურებიან. ბევრ მათგანს, ავტორისაგან განსხვავებით, დიქტატურის დასამხობად თავი ჰქონდა გადადებული, ეტყობა ესეც იმისათვის დასჭირდა, რომ მომავალში ნანატრ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მისი დანიშვნისას არ წამოიჭრას საკითხი დიქტატურის დამხობაში მისი როლის შესახებ.

და ბოლოს: ყოველივე ზემოთქმულში ჩემთან ერთად მკითხველიც რომ დარწმუნდეს, ვთხოვ რედაქციას, მოაწყოს ჟურნალისტური გამოკვლევა (ცხადია წერილის იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ მე მეხება) და აცნოს მკითხველს მისი შედეგები. ჩემი მხრივ, უფლებას ვიტოვებ ცილისწამებისათვის პასუხი ვაგებინო ავტორს.

პატივისცემით —
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ქართველ ემიგრანტთა პორტრეტები

რაჟდენ (პარტიული ზედმეტი სახელით — მიშა) მათეს ძე არსენიძე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო ფიგურა იყო, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი და ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი.



გურამ შარაძე

იუსტიციის მინისტრი

რაჟდენ არსენიძე

იგი დაიბადა 1880 წლის 1 ოქტომბერს, სოფელ სოჩხეთში (ტყიბულის რაიონში). ვიქტორ ნოზაძეს ერთხელ მისთვის უკითხავს:

„— ვინ დაგარქვა ასეთი ლამაზი სახელი? რაჟდენ!

— ლამაზია, მაშ! მამაჩემი დიაკონი იყო და პირველი ქართველი წამებულის სახელი დამარქვა — რაჟდენ. არ გახსოვს? რაჟდენ პირველწამებული?!

— როგორ არა! კარგად მახსოვს მისი ცხოვრება...“ (იხ. ვ. ნოზაძე, რაჟდენ არსენიძე, „კავკასიონი“, XII, პარიზი, 1967, გვ. 138).

ჩვენის მხრივ დავუმატებდით: რაჟდენ არსენიძის ცხოვრებაც მოწამებრივი გამოდგა, რომელიც მთლიანად სამშობლო ქვეყნის თავდადებულ სამსახურს და მისი უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას შეეწირა!

რაჟდენ არსენიძე სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში გრიგოლ რობაქიძესთან ერთად, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა იურიევის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. თავისი პოლიტიკური მრწამსით, იგი გახლდათ სოციალ-დემოკრატი, იბრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და დემოკრატიული რესპუბლიკის, ერისა და ადამიანის თავისუფლების, სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად, ეწეოდა არალეგალურ მუშაობას, წერდა პოლიტიკურ წერილებსა და პროკლამაციებს, არც კრებებსა და მიტინგებზე მგზნებარე რევოლუციურ გამოსვლებს ერიდებოდა, რისთვისაც დაპატიმრება და ციმბირში გადასახლება არ ასცდენია...

რ. არსენიძე ახალგაზრდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც მოღვაწეობა ჯერ „მესამე დასის“ ხელმძღვანელობით დაიწყო და შემდეგ ნოე ჟორდანიასა და სილიბისტრო ჯიბლაძის დროშის ქვეშ გააგრძელა, რისი ლოგიკური დასასრული იყო რუსეთის 117-წლოვანი ბატონობის შემდეგ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

რ. არსენიძე ახალგაზრდობიდანვე აქტიურ სამწერლო-პუბლიცისტურ საქმიანობას მისდევდა, რომელიც ყოველკვირეულ ჟურნალ „კვალიდან“ იღებს სათავეს. აქ მას სახელგანთქმულ ირაკლი (კაკი) წერეთელთან ერთად მოუხდა ჟურნალში თანამშრომლობა მისი არსებობის უკანასკნელ წელს (1903-04 წ.წ.), მანამდე კი გამომოვლილი ქონდა ამ ჟურნალში რამდენიმე რედაქტორის მეთაურობა ფ. გოგიჩაიშვილის, ნ. ელიავასი, დ. თოფურიძისა... მოგვიანებით ვ. ნოზაძესთან საუბარში რ. არსენიძე იგონებდა:

„ერთ დღეს გამოვწიე უჯრა და ამოვიღე იქიდან მრავალი დაუბეჭდავი მასალა. მათ შორის ვნახე ერთი მოთხრობა, „მაგდანას ლურჯა“, რომელიც ძალიან მომეწონა და დავიწყე „კვალში“ მისი ბეჭდვა. ეს იყო ეკატერინე გაბაშვილის შემდეგში ცნობილი მოთხრობა...“ (იხ. „კავკასიონი“, XII, გვ. 138).

„კვალის“ შემდეგ რ. არსენიძე მუდმივ თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალ-გაზეთებში, „რომლებიც მთავრობის განკარგულებით ხშირად იკეტებოდა და ერთი დაკეტილის ადგილას, უკვე მზად ახალი სახელწოდების გაზეთი გამოდიოდა. მაშინდელი თაობის ხალხს ახლაც ემახსოვრებათ ამ გაზეთების სახელები: „სხივი“, „ლამპარი“, „მერცხალი“, „ჩვენი დროება“, „განთიადი“ და ბევრი სხვა.

„ამხანაგების დავალებით რაჟდენი ერთხანს მეოთხე დუმის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მუშაობდა პეტროგრადში“, — წერს მისი ბიოგრაფი (იხ. რაჟდენ არსენიძის ხსოვნას, ჟურნ. „ჩვენი დროშა“, № 43, პარიზი, 1965, გვ. 3-4).

ვ. ნოზაძის დახასიათებით, „რაჟდენმა ძალიან კარგად იცოდა ქართული ლიტერატურა და ბევრ ლექსს ზეპირად იტყოდა ხოლმე. იგი იყო ქართული კულტურის დიდი მოყვარული; ესმოდა იგი კარგად და არ გაუშვებდა ისეთ წიგნს, რომელიც ამ საკითხს შეეხებოდა, რომ იგი არ წაეკითხა... იგი იყო ფართო დიაპაზონის კაცი! თავისი პარტიული ამხანაგების უმრავლესობისაგან გამოირჩეოდა ფართო განათლებით, გონების ჰორიზონტით და საქართველოს წარსულის კარგი ცოდნით“ (იხ. „კავკასიონი“, XII, პარიზი, 1967, გვ. 139, 141).

ციმბირში გადასახლებულმა რ. არსენიძემ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს მიაშურა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში: იყო დამფუძნებელი კრების დეპუტატი, ხოლო ეროვნულ მთავრობაში — იუსტიციის მინისტრი, ამავე დროს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

რ. არსენიძის მონაწილეობით შედგენილ იქნა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. შეკითხვაზე, — თუ როგორ მოხდა დამოუკიდებლობის აქტის შედგენა, — ვ. ნოზაძისათვის ასეთი პასუხი გაუცია რ. არსენიძეს:

„ორი პროექტი იყო: 1. — ჩემი; 2. — გიორგი გვაზავასი. აქტის გამოცხადებას მე ვასაბუთებდი რევოლუციური ეროვნული თვითგამორკვევის მიხედვით. გიორგი გვაზავა კი ისტორიულად ასაბუთებდა. ჩემი პროექტი კომისიამ არ მიიღო, მაგრამ გვაზავას პროექტში ბევრი შესწორება შევიტანეთ...“ (იხ. „კავკასიონი“, XII, გვ. 140).

ამ აქტის საზეიმოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით პ. სარჯველაძე იგონებს: „ბევრს ახსოვს ბედნიერ დღეებში — სასახლის აივნიდან რაჟდენის სიტყვა-ყიჟინა, — აღფრთოვანებული თვალებით, ცეცხლის ფრქვევით, — ქართველობას ისტორიული აქტის მიღებას რომ ამცნობდა, საქართველოს ეროვნულ მონობიდან განთავისუფლებას რომ ულოცავდა, და იგი გახდა ერთ უმთავრეს ფუძემდებელთაგანი სახელმწიფოებრივ ორგანოების ჩამოყალიბებისა და სამართლის თავდადებული დამცველი“ (იხ. „ჩვენი დროშა“, №43, პარიზი, 1965, გვ. 8).

თანამედროვეთა ერთსულოვანი მოწმობით, რაჟდენ არსენიძის თაოსნობითაა შედგენილი „საქართველოს კონსტიტუცია“, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო თავის უკანასკნელ დღეებში — 1921 წლის თებერვალში. საქართველოს მთავრობის წევრის ნოე ცინცაძის სიტყვებით, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას რ. არსენიძის კულტურისა და ცოდნის ბეჭედი აზის“ (იხ. „ჩვენი დროშა“. № 43, პარიზი, 1965, გვ. 6).

როცა რუსეთმა საქართველო დაიპყრო და რ. არსენიძე იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო, თავდაპირველად შორს მაინც ვერ წავიდა, სტამბოლში დასახლდა, რომ აქედან ახლოს ყოფილიყო სამშობლოსთან და ებრძოლა კომუნისტური ბორკილებისგან მის რაც შეიძლება მალე გამოსახსნელად. ამ მიზნით იგი გახდა წევრი ეროვნულ მთავრობასთან დაარსებული „სტამბოლის პოლიტიკური კომისიისა“, რომელსაც ნოე ხომერიკი თავმჯდომარეობდა, ამასთან, რედაქტორობდა სტამბოლში გამომავალ მის ორგანოს — ჟურნალს „თავისუფალი საქართველო“. სულ გამოვიდა ამ ჟურნალის ოცდაშვიდი ნომერი 1921 წლის 15 მაისიდან 1922 წლის 15 ოქტომბრამდე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რაჟდენ არსენიძის „თავისუფალი საქართველო“ მიუკერძოებელი ისტორიული ქრონიკაა ამ პერიოდში საქართველოში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიისა.

1923 წლიდან რ. არსენიძე სტამბოლიდან პარიზში ჩადის. პარიზში ჩასვლისთანავე რ. არსენიძე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წამყვან ძალთა შორის აღმოჩნდა. ერთხანს იგი მდივანია საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროსი. 1925 წლიდან პარიზში გამოსვლა იწყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიურმა ორგანომ „ბრძოლამ“, რომლის თანამშრომელი რ. არსენიძეცაა. „ბრძოლაში“ გამოქვეყნდა მისი რამდენიმე აქტუალური წერილი: „საერთო ფრონტისათვის“ (№ 2, პარიზი, 1925, აგვისტო, გვ. 12-13), „ალექსანდრე ლომთათიძე“ (№ 3, პარიზი, 1925, სექტემბერი, გვ. 8-10); „ომი და საბჭოები“ (№ 19-20, პარიზი, 1927, თებერვალი, გვ. 20-23); „მაისობა“ (№ 33-34, პარიზი, 1928, მაისი, გვ. 4); „პავლე აქსელროდი“ (იქვე, გვ. 10-11); „საერთო ფრონტში“ (იქვე, გვ. 19-21).

1930-იან წლებში რაჟდენ არსენიძე ხელმძღვანელობდა ჟურნალ „სოციალისტური აზრის“ გამოცემას, ხოლო მისი ენერგიული ჩაგონებით და ხელშეწყობით ედუარდ პაპავამ, ისიდორე მანწყავამ და ვიქტორ ნოზაძემ 1929 წლიდან დაიწყეს პარიზში ჟურნალ „კავკასიონის“ ბეჭდვა...

ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ, 1960 წელს, მაისში, კვლავ განახლდა (ოღონდ, პარიზის ნაცვლად მიუნხენში) ჟურნალ „სოციალისტური აზრის“ გამოცემა, რომელიც თავის თავს აცხადებდა საქართველოს სოც. დემ. პარტიის უცხოეთის ოპოზიციის (ირაკლი წერეთლის ტენდენციის) ორგანოდ და ფაქტიურად ამერიკაში ახლადგარდაცვლილ (1959 წ.) უდიდესი ქართველი ტრიბუნის ირაკლი (კაკი) წერეთლის ხსოვნისადმია მიძღვნილი.

ჟურნალ „კავკასიონში“ (30-იან წლებში გამოვიდა სულ 8 ნომერი) რ. არსენიძის მხოლოდ ერთი რეცენზიაა დაბეჭდილი (№ 6 1931), რომელიც წარმოადგენს პარიზში 1931 წელს გამოქვეყნებულ პროფ. ზ. ავალიშვილის დიდად საინტერესო რუსთველოლოგიური ნაშრომის „ვეფხისტყაოსნის საკითხების“ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას. ვამბობთ ბიბლიოგრაფიული, მაგრამ იგი რუსთველოლოგიაში საკმაოდ ღრმად ჩახედული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. რ. არსენიძე ერთმანეთს უდარებს უფრო ადრე 1930 წელს პარიზშივე გამოცემულ ნ. ჟორდანიას შრომას „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და ზ. ავალიშვილს დასახელებულ წიგნს, საიდანაც ცხადი ხდება, თუ რა სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე იდგა მაშინ შედარებით ახალგაზრდა, თანაც იურისტი და არა პროფესიონალი რუსთველოლოგი რ. არსენიძე „ვეფხისტყაოსნის“ კარდინალური პრობლემების შესწავლისა თუ გადაწყვეტისას.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ რუსთაველის პოემის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით 1937 წელს რაჟდენ არსენიძეს დაუწერია ფრიად სერიოზული ნარკვევი „შოთა რუსთაველი და მისი წიგნი“, რომელმაც მზის სინათლე მხოლოდ 1966 წელს იხილა პოეტის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ ვ. ნოზაძის ჟურნალ „კავკასიონის“ საიუბილეო ნომრის ფურცლებზე (XI. პარიზი, 1966, გვ. 135-140).

როცა ჰიტლერულმა გერმანიამ საბჭოთა კავშირს ომი გამოუცხადა, რ. არსენიძე ამ ომში რუსეთის დამარცხების იმედით საქართველოს განთავისუფლების ოცნებამ გაიტაცა, რომელიც უნაყოფო გამოდგა. ამიტომ იგი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კვლავ პოლიტიკურ ბრძოლას განაგრძობს ორ ფრონტზე: ემიგრანტული პრესის ფურცლებზე და რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციაში.

1949 წელს პარიზში ნოე ჟორდანიამ დააარსა საქართველოს სოც. დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს ახალი ორგანო — ჟურნალი „ჩვენი დროშა“, რომლის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი გახდა ძველი სოციალ-დემოკრატი რაჟდენ არსენიძე. „ჩვენი დროშის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულია მისი შემდეგი წერილები: „ორი მეგობრის ხსოვნას“, „გრიშა ურატაძე დესპანი“, „ზოგიერთი ასპექტი საერთაშორისო მდგომარეობისა“, „ირაკლი წერეთლის ხსოვნას“, „იმპერიალიზმის ერთა ძმობის და საბჭოთა პატრიოტიზმის საფარ ქვეშ“, „26 მაისი“, „ნოე რამიშვილის ხსოვნას“, „შავბნელ 40 წლის თავზე“, „მოკლე დახასიათება ნ. ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობისა“, „გრიგოლ რობაქიძე“, „ჩვენი დამოუკიდებლობის დღე“.

რ. არსენიძის წერილი „ორი მეგობრის ხსოვნას“ ეძღვნება თითქმის ერთდროულად (1958-59 წწ.) პარიზში გარდაცვლილ ორ დიდ პოლიტიკურ ემიგრანტს, დამოუკიდებელი საქართველოს ორ დიდ მშენებელს — ყოფილ ფინანსთა მინისტრს კონსტანტინე კანდელაკსა და ყოფილ ელჩს საფრანგეთში აკაკი ჩხენკელს: „ცხოვრებამ ორივე გადააბა ერთმანეთს, კარგი მეგობრები და ერთგული შვილები თავის ერისა. ულმობელმა სიკვდილის ცელმაც ერთი მეორეზე გამოუარა, რომ ორივენი ასე გულდასაწყვეტად ასე ერთიმეორეს მიყოლებით მოეტაცა ჩვენთვის“ — წერს იგი. მკითხველი ბევრ საინტერესო ცნობას იპოვის რ. არსენიძის სტატიაში „გრიშა ურატაძე დესპანი“, რომელიც ეძღვნება საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადების ისტორიას და მასში საქართველოს წარმომადგენლის გრიგოლ ურატაძის მონაწილეობას. ორი წერილი მიუძღვნა რ. არსენიძემ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს — 1918 წლის 26 მაისს.

დიდი სახელმწიფო მოღვაწის, ჩვენი სამშობლოსთვის თავდადებული ნოე რამიშვილის ტრაგიკული სიკვდილიდან 30 წლის თავზე „ჩვენს დროშაში“ დაიბეჭდა რ. არსენიძის წერილი „ნოე რამიშვილის ხსოვნას“.

1959 წლის 29 ნოემბერს პარიზში, საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ და პარიზის სოც. დემოკრ. მუშათა პარტიის ორგანიზაციამ მოაწყვეს სამოქალაქო პანაშვიდი ნიუ-იორკში გარდაცვლილ ირაკლი წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავად.

მოგონების საღამოს მონაწილე ორატორებმა საზოგადოების წინაშე გადაშალეს მეოცე საუკუნის აბობოქრებული ეპოქა, საქართველოს ადგილი ამ ისტორიულ მიჯნაზე, მოიგონეს განსვენებულის ისტორიული როლი რუსეთში. საქართველოში, ევროპაში, დევნილობაში. აღნიშნეს ირაკლი წერეთლის დიდი ბუნება, მაღალი ნიჭი, არაჩვეულებრივი მჭევრმეტყველება, უანგარო თავგანწირვა... სხვა ორატორებთან (ნოე ცინცაძე, გიორგი ერაძე, შალვა აბდუშელი, ვასო ტულუში) ერთად სიტყვით გამოსულა რაჟდენ არსენიძეც, რომელიც შემოკლებით დაბეჭდილია „ჩვენი დროშის“ № 32-ში (1960 წ; გვ. 11-12), ხოლო სრულად მოგვიანებით გამოქვეყნდა ამავე ჟურნალის № 36-ში, 1961 წელს.

1951 წელს პარიზში შეიქმნა ქართული ეროვნული საბჭო, როგორც ორგანო საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისა უცხოეთში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა რუსეთის ბატონობის უღლისაგან დახსნას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას. მასში შედიოდა უცხოეთში მოქმედ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ქართულ ეროვნულ საბჭოს გააჩნდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, რომლის პირველი ნომერი პარიზში 1952 წლის იანვარში გამოიცა. სულ გამოვიდა 18 ნომერი (ბოლო მე-18 ნომერი დაიბეჭდა 1954 წლის იანვარ-თებერვალში, ხოლო დიდი ხნის შესვენების შემდეგ „მებრძოლი საქართველოს“ გამოცემა 1986 წლის აპრილიდან — მე-19 ნომრიდან პარიზში განაახლა კარლო ინასარიძემ. ჩვენ ხელთა გვაქვს №№ 19-27).

„მებრძოლი საქართველოს“ თანამშრომელთა (ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი, ევგ. გეგეჭკორი, გრ. ურატაძე, ქ. გვარჯალაძე, ალ. ქორქია, გ. კერესელიძე, ფ. შარაძე, კ. კანდელაკი, დ. საღირაშვილი, რ. ინგილო, თამარ და აკაკი პაპავები, ალ. მათირიშვილი, ი. გოზეჩია, გ. წერეთელი და სხვ.) შორის ვხედავთ რაჟდენ არსენიძესაც. აი, მისი წერილები: „მიმოხილვა“ (№ 1, პარიზი, 1952, იანვარი, გვ. 15-20); „ქართული პრესა“ (იქვე, გვ. 20-23); „მათი პოლიტიკა“ (№ 2, პარიზი, 1952, მარტი, გვ. 20-22); „მიმოხილვა“ (იქვე გვ. 22-25); „რაშიგან ვართ?“ (№ 3, პარიზი, 1952, აპრილი, გვ. 4-6); და სხვ.

1963 წელს ა. არსენიძემ პარიზში გამოსცა მონოგრაფია „განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა“. ამ მონოგრაფიაზე მუშაობა მას ჯერ კიდევ 1937 წელს ვახტანგ მეფის გარდაცვალების 200 წლის თავზე დაუწყია. ძირითადი დებულებები ჯერ მოხსენების სახით წაუკითხავს პარიზში, ხოლო 1940 წლისათვის იგი თითქმის დაუმთავრებია კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, შრომა მთელი 25 წლიწადი უცდიდა დაბეჭდვას და მხოლოდ, როგორც აღვნიშნეთ, 1963 წელს ვიქტორ ნოზაძეს უშუალო მონაწილეობით და მზრუნველობით მოუხერხებია მისი გამოცემა მცირეოდენი რედაქციული შესწორებებით.

1953 წელი ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტია რაჟდენ არსენიძის ცხოვრებაში: ამ წელს იგი პარიზიდან საცხოვრებლად გადადის მიუნხენში, სადაც ინიშნება ამერიკული რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართული რედაქციის მთავარ რედაქტორად, რომელ მოვალეობასაც იგი მისთვის ჩვეული მაღალი ღირსებით ასრულებდა თითქმის მთელი 10 წლის განმავლობაში 1962 წლამდე.

რადიოსადგურ „თავისუფლებაში“ მუშაობის დროს რ. არსენიძეს საშუალება მიეცა პირდაპირ ელაპარაკა რკინის ფარდის იქით მომწყვდეულ ქართველი ხალხისათვის.

...ჯერ კიდევ მიუნხენში ყოფნისა და რადიო „თავისუფლებაში“ მუშაობის დროს რაჟდენ არსენიძეს გულის ავადმყოფობა დასჩემდა. 1962 წელს იგი დაბრუნდა საფრანგეთს და ლევილის შატოში დასახლდა. 1965 წლის 24 მაისს, ნაშუადღევს, რაჟდენ არსენიძე ლევილის შატოში, თავის საწოლ ოთახში გარდაიცვალა.

დაკრძალვა მოხდა შაბათს, 29 მაისს, ლევილის ქართულ სასაფლაოზე, სადაც ქართული ეროვნული დროშით გადაფარებული მისი კუბო მიაცილეს როგორც მრავალრიცხოვანმა ქართველებმა, ისე უცხო ტომის წარმომადგენლებმა...

...თავის უკანასკნელ წერილში მას ანდერძი დაუტოვებია: „ჩვენ თამამად ვაცხადებთ, რომ იარაღი არ დაგვიყრია, ბრძოლა არ შეგვიწყვეტია, იგი გრძელდება და არ შეწყდება, სანამ ქართველი ხალხი არ მოიპოვებს თავისუფლებას, სანამ არ გახდება სრული გამგე და პატრონი თავის მომავლის!“...

მარადისობაში გადასული ჰანგები

აღდგომის წინა კვირას ხსოვნის დღეები აღნიშნა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში.

— ჩვენი ვალია პატივი მივაგოთ დიდ ხელოვანთა სახელებს, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მდივანმა კოტე ნინიკაშვილმა. — თუკი ოდნავ მაინც მოხერხდა ახალი თაობისთვის ლეგენდად ქცეული ადამიანების შემოქმედებითი პორტრეტების აღდგენა, ასეთი საღამო გამართლებულად ჩაითვლება.

მართლაც ჩვენ თვალწინ კიდევ ერთხელ გაცოცხლდა ლეგენდარული სახელები: სანდრო ახმეტელი, თამარ წულუკიძე, ვასო გოძიაშვილი, თამარ ჭავჭავაძე, სესილია თაყაიშვილი, დავით გამრეკელი, არჩილ ჩხარტიშვილი, სოლიკო ვირსალაძე, ეროსი მანჯგალაძე...

საღამოების სცენარი და დადგმა ეკუთვნით კოტე ნინიკაშვილსა და ნუგზარ ლორთქიფანიძეს. ერთ-ერთ საღამოში კი, რომელსაც „სიმღერის უკვდავება“ ერქვა და რომელიც კომპოზიტორთა კავშირთან ერთად გაიმართა, დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა კონცერტმეისტერმა ნუციკო ჯანელიძემ. საღამოზე გაიხსენეს რეზო ლაღიძე, არჩილ კერესელიძე, დავით თორაძე, გიორგი ცაბაძე, შოთა მილორავა, ლილი იაშვილი, სულხან ცინცაძე, არჩილ ჩიმაკაძე, ოთარ თევდორაძე, მანანა ცერცვაძე, ინოლა გურგულია, ეთერ ბელიძე, ეთერ იოსებიძე, მამია ხატელიშვილი, კონსტანტინე პევზნერი...

...და ჟღერდა მარადისობაში გადასული ჰანგები.

ინტერვიუ

აღსდგეს სიმართლე



ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება გადამდგარი პოლკოვნიკი

ვარლამ ჯანჯღავა

— ბატონო ვარლამ, დიდ სამამულო ომში (დღეს მეორე მსოფლიო ომად შერქმეულში) გამარჯვებამ თქვენ, პოლკოვნიკს, ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსს და დივიზიის მეთაურის მოადგილეს — ჯერ კიდევ ახალგაზრდას მოგისწროთ. დღეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, როგორ იტანთ გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დაკნინებას ჩვენი დღევანდელი საზოგადოების ზოგიერთ სფეროში?

ძალიან მტკივნეულად. შეშფოთებული ვარ, მორალურად ტრავმირებული. ვერ ვიტან დაცინვას ომის ვეტერანთა მიმართ. მათს „მამულუქებად“ მონათვლას, აბუჩად აგდებას.

ომის ვეტერანებს ამ რამდენიმე ხნის წინათ ყველა მშრომელთ თუ სასწავლო კოლექტივში იწვევდნენ, თბილ შეხვედრებს უწყობდნენ, ყურადღებით უსმენდნენ, მადლობას უხდიდნენ. არ მჯერა, რომ ეს მაშინ თვალთმაქცობა იყო. მაშ, რა მოხდა? ნუთუ ფაშიზმი პროგრესული კაცობრიობისათვის საშიში მტერი არ ყოფილა?

— თქვენი შეხედულებით რატომ, რისთვის იბრძოდნენ ქართველები საქართველოს საზღვრებს გარეთ?

საქართველო მაშინ საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. სადაც საბჭოეთის კონსტიტუცია და კანონები მთელი ძალით მოქმედებდნენ. ფაშიზმი კაცობრიობის საერთო მტრად იყო აღიარებული, ხოლო მის წინააღმდეგ ბოლომდე ბრძოლა — სამართლიან და სასახელო საქმედ.

საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრების დაცვაში სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები საერთო რიცხვის 60 პროცენტამდე მონაწილეობდნენ. ჩვენ მაშინ დახმარებაზე უარი არ გვითქვამს. ვიცოდით, საკუთარი ძალებით მტერს ვერ გავუმკლავდებოდით. თვალწინ გვიდგა პოლონეთის სახელმწიფოს მაგალითი. ქვეყანამ, რომელიც საქართველოზე 7-8 ჯერ მეტი იყო, და საკუთარი ჯარიც ჰყავდა, მხოლოდ 10 დღე გაუძლო გერმანიის შემოტევას. შემდეგ ცნობილია, თუ რა უბედურება დატრიალდა მის თავზე — ომისა და ოკუპაციის პერიოდში 6 მილიონი პოლონელი დაიღუპა.

საქართველოს საზღვრებიდან ფაშისტების საერთო ძალით განდევნის შემდეგ ჩვენი გამოთიშვა ომიდან მოკავშირეების მიმართ ღალატად და საქართველოს ღირსების შეურაცხმყოფელ აქტად მიგვაჩნდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვწამდა.

— რა უბიძგებდა მოხალისეებს ფრონტისკენ?

მოხალისეები ნამდვილად ბევრი იყო. საქართველოდან მარტო პირველ ათ დღეში — 6545 კაცი, მათ შორის სულ ახალგაზრდებიც, ხანში შესულებიც, გამოვლილი რომ ჰქონდათ ფინეთში, ხასანში, ხალხინ-გოლში ომის კოშმარი, და იცოდნენ, ფრონტებიდან ცოცხლად დაბრუნების შანსი რომ მცირე იყო, ფრონტზე წავიდნენ. ფრონტისაკენ მათ უბიძგებდა პატრიოტული გრძნობა, ფაშისტების საყოველთაოდ ცნობილი სისასტიკე — კაცთმოძულეობა, საქართველოში მათი შემოსევის საშიშროება, ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ნება-სურვილი: „მოკვდი, მაგრამ ურჩხულს საქართველოში ნუ შემოუშვებ“. სხვათა შორის ანტიკომუნისტი, საბჭოთა სისტემის მოძულე კონსტანტინე გამსახურდიაც მოითხოვდა იმ დიდი გამოცდის დროს გაალმასებული ენერგიით, როგორც არასოდეს, გვებრძოლა და გვეშრომა ქვეყნის გადასარჩენად. კომუნიზმის დაუძინებელი მტერი უინსტონ ჩერჩილი მოითხოვდა ერთიანი ძალით, უკომპრომისოდ, ბოლომდე გვებრძოლა მომაკვდინებელი საერთო მტრის წინააღმდეგ; ფრანკლინ რუზველტი ამბობდა: ჩვენ საბჭოთა კავშირთან ერთად ვიბრძვით ფაშიზმის წინააღმდეგ, რათა უზრუნველვყოთ შვილიშვილებისთვის იმის შესაძლებლობა, რომ იცხოვრონ ღვთის კურთხევით და არ მოელოდნენ შემოსევას, მოსპობის, მონობის და ძალადობით სიკვდილის საფრთხე.

— ნუთუ აღარაფერი დარჩა დღევანდელ ახალგაზრდობას სამაგალითოდ იმ ოთხწლიან ომში საბჭოთა მეომრების თავგანწირვის, პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის გრძნობის გამოვლინებიდან? ნუთუ დავიწყებას უნდა მიეცეს შინმოუსვლელ მრავალ ათეულ მილიონთა ხსოვნა?

სამაგალითო ბევრი რამ დარჩა. მაგრამ ამის აღიარება ხელს არ აძლევს ბევრ გავლენიან პირს. უფრო მეტიც, ისინი აყალბებენ ისტორიას, გაზვიადებულად წარმოაჩენენ ნეგატიურ მოვლენებს. „სიმართლე, მხოლოდ სიმართლის“ ნიღბით ოსტატურად იყენებენ თავის დროზე დაშვებულ შეცდომებს და ახალგაზრდობას უქმნიან გაუკულმართებულ შეხედულებას მეორე მსოფლიო ომის დაწყების, მსვლელობისა და შედეგების შესახებ; ავიწყებენ მოვლენებისადმი კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას, აჩვევენ წარსულის შეფასებას მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობისა და პოლიტიკური სიტუაციის, დღევანდელი თვალთახედვისა და საზომის მიხედვით. ამას ჩემი აზრით დრო-ჟამი განკურნავს, მაგრამ დიდი დრო კი დასჭირდება.

მავანნი და მავანნი ვერ დაავიწყებენ ხალხს შინმოუსვლელთა ნათელ ხსოვნას. განა შეიძლება ვინმემ მოახერხოს, მაგალითად, ისტორიიდან ამოძირკვოს ზოია რუხაძის, გრიგოლ სხულუხიას და მისთანების ხსოვნა? — არავითარ შემთხვევაში!

პირადად მე, დიდ მადლობას მოვახსენებ ომის ვეტერანების სახელით ჩვენს ღირსეულ მამულიშვილებს: შესანიშნავ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს თენგიზ ბუაჩიძეს, მწერალსა და ომის ვეტერანს აკაკი გეწაძეს, რომლებმაც ვაჟკაცურად აღიმაღლეს ხმა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველთა დისკრედიტაციისა და ომში დაღუპულთა დავიწყების წინააღმდეგ.

— აღინიშნება თუ არა წლევანდელი 9 მაისი, თუ შარშანდელი თოვლივით გავატანთ ისტორიას?

ცხადია, ყველა ვეტერანის დაუოკებელი სურვილია გამარჯვების დღე აღინიშნოს საზეიმო ვითარებაში და არა „ხატაქვეშ“. საკითხი ომის ვეტერანთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა დასვა ზემდგომ ორგანოში. ვნახოთ, რამდენად გულისხმიერად გადაწყვეტს დღევანდელი მთავრობა ომის ვეტერანთა მრავალ ათეულათასიანი კოლექტივის სამართლიან მოთხოვნას.

ჩვენი გამარჯვების დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაშიც აღნიშნავენ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს კი ყველაზე მეტი მორალური უფლება აქვთ ღირსეულად აღნიშნონ იგი, მათ ხომ ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღეს და ფაშიზმზე გამარჯვებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს.

— როგორ აფასებთ საქართველოში შექმნილ სიტუაციას? როგორია ომის ვეტერანთა პოზიცია? რაში ხედავთ გამოსავალს?

ყველა ამ საკითხზე ომის ვეტერანთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა ოფიციალურად გამოთქვა თავისი აზრი, რასაც მე, როგორც მისი აქტიური წევრი, სავსებით ვიზიარებ. ამიტომ მოგახსენებთ მოკლედ. საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა საგანგაშოა. მიზეზები ობიექტურთან ერთად, ბევრია სუბიექტური ხასიათისაც. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ყოფილი ხელისუფლების უგუნური მოქმედება: ერის გახლეჩის ცდა, ურთიერთდაპირისპირება, შუღლისა და მტრობის დათესვა. დრო-ჟამის ცვლილებამ, მძლავრმა ეროვნულმა მოძრაობამ, ომის ვეტერანების ფსიქოლოგიაზეც მოახდინა დადებითი გავლენა.

ომის ვეტერანთა პოზიცია სავსებით ნათელი და ჯანსაღი. ისინი მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობასა და ნამდვილი დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას. კრიზისიდან გამოსავალს ხედავენ ურთიერთდაპირისპირების, ლანძღვა-გინებისა და ძმათა სისხლის ღვრის შეწყვეტაში.

— რას მოითხოვენ დღეს ომის ვეტერანები?

შეწყდეს ომის ვეტერანების განქიქება; ოფიციალურად დაკანონდეს გამარჯვების დღის — 9 მაისის საზეიმო ვითარებაში ჩატარება; ყველა ორგანოში გულისხმიერებით განიხილონ ომის ვეტერანთა და შინმოუსვლელთა ოჯახების მართებული თხოვნა-საჩივრები; მასობრივი პროპაგანდის საშუალებებმა და გამომცემლობებმა მოხსნან „ყადაღა“ ომის თემას. გაუმჯობესდეს ომის ვეტერანთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ესაუბრა
ვლადიმერ თორდუა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სემინარი კოპენჰაგენში

„ნაციონალიზმი და უმცირესობათა პრობლემები ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის რეგიონში: საერთაშორისო დიალოგი ამიერკავკასიაში „უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ“ — ასეთი სახელწოდებით დაიწყო მუშაობა საერთაშორისო სემინარმა, რომელზეც მისი მონაწილენი განიხილავენ ეროვნული უმცირესობების და ეროვნული კონფლიქტების პრობლემებს, მათი მშვიდობიანი მოწესრიგებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის გზებს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პრინციპების საფუძველზე. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო საზოგადოებრიობის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და ექსპერტები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, მთიანი ყარაბაღიდან, რუსეთიდან და ე. წ. „სამხრეთ ოსეთიდან“ განსაკუთრებულ ყურადღებას ამ არასამთავრობო საერთაშორისო ფორუმის მონაწილენი დაუთმობენ მთიან ყარაბაღსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ შექმნილი სიტუაციის განხილვას, ამ რეგიონში ეროვნული კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის კონსტრუქციული დიალოგის ორგანიზაციას.

ავღანეთის ამბები

ავღანეთი კვლავ მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრშია. ბოლო დღეებში ქაბულში ფიცხელი ბრძოლებია. ერთმანეთს ებრძვიან გულბუდინ ჰექმათიარის ფუნდამენტალისტთა რაზმები და აჰმად შაჰ მასუდის სამხედრო ნაწილები. როგორც ასოშიეიტედ-პრესის სააგენტო აღნიშნავს, ეს უკანასკნელი ოთხშაბათს საღამოს ქაბულში შევიდა კოლონასთან ერთად, რომელშიც დაახლოებით ასი ჯავშანმანქანა იყო. მასუდის ნაწილებმა მძიმე იარაღის მეტი ნაწილი ქალაქის მისადგომებთან დატოვეს. ქაბულში შეიქმნა ე. წ. „მოჯაჰედთა საბჭო“, რომელიც ფაქტობრივად ავღანეთის დღევანდელ მთავრობას წარმოადგენს. საბჭოს სათავეში ჩაუდგა პროფესორი სებგათულა მოჯადედი. აჰმად შაჰ მასუდი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი გახდა. ჰექმათიარმა თავისი წარმომადგენელი უსტადა ფარიდა ავღანეთის პრემიერად დანიშნა. ასოშიეიტიდ პრესი აღნიშნავს, რომ ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა სეიდ აჰმად გეილანმა ავღანეთის მთავრობაში ჰექმათიარის შეყვანის წინააღმდეგ გაილაშქრა.

პროფესორმა სებგათულა მოჯადედიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადა, რომ ახალი ხელისუფლება კონკრეტული დიალოგის მომხრეა. მან ყველა სამთავრობო დაწესებულების მუშაკებს სამსახურში გამოსვლისკენ მოუწოდა. სპეციალისტთა აზრით, ავღანეთი განიცდის ნგრევის გარდამავალ პერიოდს. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, ავღანეთის ახალი მთავრობა ცნეს პაკისტანმა, ირანმა და საუდის არაბეთმა.

მართლმსაჯულებას ემალება

მართლმსაჯულებას ემალება მექსიკის ქალაქ გვადალახარის მერი ენრიკე დაუ ფლორესი.

მას ბრალად ედება დანაშაულებრივი დაუდევრობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ორასი მოქალაქის დაღუპვა. დაპატიმრებულია მექსიკის სახელმწიფო კომპანია „პემექსის“ ოთხი თანამშრომელი და მუნიციპალიტეტის ოთხი მოხელე. ისინი პასუხს აგებენ ქალაქის სადრენაჟო ქსელის კატასტროფისათვის, რომელმაც გამოიწვია გვადალახარის მთელი უბნის დანგრევა.

წესი აუგეს დიდ მთავარს

უკანასკნელი სამი მეოთხედი საუკუნის მანძილზე პირველად სანქტ-პეტერბურგის ისაკის ტაძარში ძველი ტრადიციისამებრ წესი აუგეს რუსეთის იმპერატორთა საგვარეულოს წევრს — დიდ მთავარს ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვს, რომელიც 21 აპრილს გარდაიცვალა მაიამიში (ამერიკის შეერთებული შტატები). ლიტურგია და წესის აგება აღასრულა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა ალექსი მეორემ. აქვე ესწრებოდნენ განსვენებულის მეუღლე — კნეინა ლეონიდა გიორგის ასული, მისი ქალიშვილი და შვილიშვილი, სამღვდელოება, ცნობილი კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ათასობით პეტერბურგელი.

წესის აგების შემდეგ განსვენებულის ცხედარს დაასვენებენ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ალექსანდრე ნეველის ლავრაში. დიდი მთავრის დაკრძალვა განზრახულია პეტრე-პავლეს ტაძრის დიდ მთავართა აკლდამაში. დაკრძალვის თარიღი ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული, რადგან აკლდამაში ამჟამად გაშლილია ქალაქის ისტორიის მუზეუმის ექსპოზიცია.

როგორც ამტკიცებენ

● გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსი“: თუმცა ყრილობის სხდომებზე ელცინის არგუმენტმა კითხვები წამოჭრა დეპუტატთა გარკვეულ ნაწილს შორის, როგორც ჩანს, ყრილობამ დაადასტურა მისი, როგორც პოლიტიკური სტრატეგიის ოსტატის რეპუტაცია. იგი არ ჩაება გაუთავებელ განხეთქილებებში და, ასე ვთქვათ, ამ არცთუ პოპულარული წარმოდგენის გარეთ დარჩა.

● რადიო „სვობოდა“: რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ხასბულატოვმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობებს, რომლებიც ამ ორგანიზაციაში რუსეთის მიღებას დაუკავშირეს, მეტისმეტად მკაცრი უწოდა.

● რადიოსადგური „ამერიკის ხმა“: როგორც ნიდერლანდიდან იუწყებიან, რამდენიმე თვის წინათ იქიდან გამოუძევებიათ რუსეთის ოთხი მოქალაქე, რომლებსაც ბრალად ედებათ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა. ნიდერლანდის ოფიციალური წარმომადგენლის სიტყვით, იმათ შორის, ვისაც წინადადება მიეცა დაეტოვებინა ქვეყანა, იყო სამი ჟურნალისტი, რომლებიც იტარ-საკდესის და „ნოვოსტის“ სააგენტოებში მუშაობენ, აგრეთვე ერთი დიპლომატი.

გორბაჩოვი პრეზიდენტობას არ აპირებს

თავისი სახელობის ფონდის შენობაში გამართულ პრესკონფერენციაზე მ. გორბაჩოვმა დიდად შეაფასა იაპონიაში თავისი ვიზიტის შედეგები.

დიდ პოლიტიკაში თავისი დაბრუნების თაობაზე კითხვის პასუხად მან სრულიად ნათლად განაცხადა, „მე არც წავსულვარ და არც ვაპირებ პოლიტიკიდან წასვლას. ეს უაზრობა იქნებოდა ახლანდელ ვითარებაში, როცა სასწორზეა შეგდებული ყველაფერი“. ამასთანავე იგი არ აპირებს რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელებას. „საშუალება უნდა მივცეთ ახლანდელ ხელისუფალთ, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანონ“, თქვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა.

ჯორჯ ბუში ლიდერობს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის მთავარ პრეტენდენტთა შორის მანძილი მცირდება.

არჩევნები დღეს რომ გამართულიყო, როგორც საზოგადოებრივი აზრის მორიგმა გამოკითხვამ ცხადყო, თეთრი სახლის ახლანდელი პატრონი, რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში, ხმების 38 პროცენტს მოაგროვებდა; დემოკრატთა შორის წინასაარჩევნო შეჯიბრების ფავორიტი, არკანზასის შტატის გუბერნატორი ბილ კლინტონი ამომრჩეველთა 28 პროცენტს გაინაღდებდა, ტეხასელი მილიარდელი როს პერო კი, რომელიც დამოუკიდებელ კანდიდატად აპირებს არჩევნებში მონაწილეობას, 23 პროცენტს მიიღებდა.

იტარ-საკდესი.

კარიკატურისტის კომენტარი


შენ მართლა სამინისტროდან ხარ?

„იზვესტია“.

სანთელი

„კეთილი ატომური ყუმბარა"



რა დრო გასულა, თითქოს გუშინ მოხდა...
დოდო აბაშიძე ის პიროვნებაა, რომ მის ცხოვრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თარიღების საგანგებოდ აღნიშვნა არ უნდა დაივიწყოს ქართველმა საზოგადოებამ, თუმცა ასეც ხდება ხოლმე.

1 მაისი დოდოს დაბადების დღეა! ახლა, როდესაც დრო გავიდა და სასოწარკვეთა დოდოს გარდაცვალების გამო თითქოს მინელდა, სწორედ ახლა შეიძლება დოდოს პიროვნებაზე უფრო ლაღად საუბარი.

დოდოს არსებაში თავს იყრიდა ყველა ის შესანიშნავი თვისება, რომელიც გამჩენის ძალით ასე უხვად მიემადლა სამაგალითო ქართველ ვაჟკაცს: სიწმინდე, სიკეთე, მაღალი ზნეობა, ქრისტიანული სიყვარული, მართლმადიდებლური მოთმინება, რაინდული თავშეკავებულობა, ქალის პატივისცემა, სულ ერთია, ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს ქალი — ბრწყინვალე კინოვარსკვლავი თუ უბრალო დამლაგებელი. ერთი პატარა მოგონება ამოტივტივდა მეხსიერებიდან: დოდო მაშინ რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლდათ, სრულიად ახალგაზრდა და ფრიად იმედის მომცემი. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან ყველამ კარგად ვიცით, რომ დოდო თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მიიწვიეს რუსთაველის თეატრში, და დიმიტრი ალექსიძემ მას პეპოს როლი შესთავაზა.

სწორედ იმ საღამოს რუსთაველის თეატრში „პეპო" გადიოდა და პეპოს როლს დოდო აბაშიძე ასრულებდა. ზიმზიმოვის როლში იყო ჩვენი უსაყვარლესი მსახიობი ეროსი მანჯგალაძე. დაიწყო ბოლო მოქმედება. ზიმზიმოვი მიდიოდა პეპოს სახლში მას შემდეგ, რაც მის ვერაგულ ზრახვებს ფარდა აეხადა და ახლა პეპოსთან მეტად დრამატული დიალოგი უნდა გამართულიყო. ამჯერად სცენაზე საშინლად აფორიაქებული ეროსი — ზიმზიმოვი იმყოფებოდა, რომლის კარგა მოზრდილი მონოლოგი მთავრდებოდა სიტყვებით: „აგერ, პეპოც მოდის".

დოდო კულისებში იდგა ხსენებული რეპლიკის მოლოდინში და სცენაზე გასასვლელად ემზადებოდა. მეც მაშინ რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლდით, ახალმიღებული (ამ სახელოვან დასში და მასიურ სცენებში ვმონაწილეობდი.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ბევრ სხვა უარყოფით თვისებათაგან და სისუსტეთაგან, რომელიც ასე მოჭარბებულად გამაჩნდა ბავშვობიდან, ერთ-ერთი ყველაზე აუტანელი გახლდათ ბევრი ლაპარაკი. ძალიან ბევრს ვლაპარაკობდი. მეტად მეადვილებოდა ლაპარაკის დაწყება, მაგრამ დამთავრების აუცილებლობას კატასტროფულად ვერ ვგრძნობდი. მახსოვს, ბავშვობაში სტუმრებს არ მაკარებდნენ, ლაპარაკს არავის დააცდისო. განსაკუთრებით მიყვარდა მხიარული ამბების მოყოლა.

იმ დღეს რაღაც კურიოზი შემემთხვა და რა თქმა უნდა, ვჩქარობდი, რომ ყველასათვის მეამბნა.

ფარდის უკან სცენაზე გასასვლელად მომზადებული დოდო დავინახე, უმალ მივვარდი და მეტად საინტერესო და სასაცილო (ჩემი აზრით) ამბის მოყოლა დავიწყე. შევამჩნიე, რომ დოდო რაღაც უხერხულად შეიშმუშნა, თუმცა ცდილობდა ყურადღებით ესმინა ჩემთვის, მე კი გატაცებით განვაგრძობდი მოყოლას ყველა დეტალითა და უმცირესი ნიუანსებითაც კი. როგორც იმერეთში იტყვიან, ენას ენაზე არ ვაკარებდი, ვლიკლიკებდი და ვლიკლიკებდი. ცოტა კი მიკვირდა, რომ მეტად სასაცილო (რა თქმა უნდა, ისევ ჩემი აზრით) ადგილებზე, დოდო მაინც და მაინც არ იცინოდა. რა გაეცინებდა?! თურმე საცოდავი, ოფლად გახვითქული ეროსი-ზიმზიმოვი უკვე მერამდენედ იმეორებდა თავის მონოლოგს სხვადასხვა ვარიაციებში და ბოლოს „აგერ, პეპოც მოდის". მაგრამ სად არის პეპო? „აგერ პეპოც მოდის" და „აგერ პეპოც მოდის"-ო, ლამის ატირებულიყო შავ დღეში ჩავარდნილი ეროსი.

ახლა რა ხდებოდა თურმე კულისებში! დიდი და პატარა კინაღამ დაიხოცა დოდო აბაშიძის ძებნაში. იყო ერთი სირბილი წინ და უკან. უცბად, დოდოსთან მიიჭრა ტექნიკური რეჟისორი გივი კვაჭაძე, რომელიც პასუხისმგებელი იყო სპექტაკლის მიმდინარეობისთვის და გამწარებულმა შესძახა: რას შვრები კაცო, რატომ არ გადიხარ სცენაზე? დოდომ გაკვირვებით გამოხედა და დარბაისლურად უპასუხა: როგორ, ქალი მელაპარაკება, ვერ ხედავ? გივის სიბრაზისაგან ენა დაება, დოდომ თავაზიანად მომხედა, ბოდიში და სცენაზე გავიდა.

...დოდოს წასვლა ჩვენგან მეტად ნაადრევი გამოდგა. მას უნდა ეცოცხლა და ეცოცხლა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ყველაზე მართებულად დოდო აბაშიძის საზღვარგარეთელმა თაყვანისმცემლებმა გამოხატეს დოდოს პიროვნება სამად სამი სიტყვით: „კეთილი ატომური „ყუმბარა")!..

ყოველი უკეთური მხოლოდ სიკეთით განიდევნებაო, ასე უთქვამს ქვეყნის ხალხს, იმ ყოვლის შემძლე სიკეთით, რომელიც ასეთი ატომური ძალით გრგვინავდა დოდო აბაშიძის არსებაში.

ნანა მჭედლიძე,
1992 წლის 27 აპრილი
ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი.

მინაწერი: მინდა აღვნიშნო, რომ დოდო აბაშიძე, რომელმაც მსოფლიო კინომოღვაწეთა ფორუმებში დიდი აღიარება მოიპოვა, მრავალ პრესტიჟულ კინოფესტივალზე უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიო მასშტაბის მსახიობია, დოდო, რომელსაც საქვეყნოდ აღიარებული შემოქმედნი აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს და „ვივა დოდო აბაშიძეო", გაიძახოდნენ, რისი უშუალო მოწმეც მე გახლავართ, დოდო, რომელმაც დაინახა ქართველი კაცის კეთილშობილება, მისი რაინდული სული და შორს გაუთქვა სახელი თავის ქვეყანას, მიუხედავად იმ საყოველთაო სიყვარულისა და აღიარებისა, რითაც იგი უპირველეს ყოვლისა, ქართველ მაყურებელში სარგებლობდა, ვერც ერთხელ ვერ გახდა თავის სამშობლოში ოფიციალური ჯილდოს ღირსი. მერედა როგორ გაეხარდებოდა!

ნ. მ.

ვალერი პლოტნიკოვის ფოტო.

შეხვედრა წარსულთან

ჭეშმარიტად აღსდგება

აღდგომის წინა დღეს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე სკოლის ზარმა „მერხებზე" მოუხმო სხვადასხვა დროს პირველსკოლადამთავრებულებს. ასე განახორციელა ნუციკო და ირაკლი ჭანელიძეებისა და ვახტანგ იაკობიძის ჩანაფიქრი რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა.

ყოფილმა მოსწავლეებმა — დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილმა ადამიანებმა — ნინო ჯავახიშვილმა, ვახტანგ ბერიძემ, კობა იმედაშვილმა, ელენე ყიფშიძემ, სულიკო ხაბეიშვილმა, დოდო ხიმშიაშვილმა, გურამ ქავთარაძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა მოგონებებსა და მისალმებებში ორი საუკუნის ფარდა ჩამოხსნეს თავის დროზე ამიერკავკასიაში ევროპული ტიპის ერთადერთ საგანმანათლებლო სკოლას, დაარსებულს 1802 წელს კეთილშობილთა სასწავლებლად, რომელიც იმ საუკუნის შუა ხანებში უკვე პირველ კლასიკურ გიმნაზიად გადაკეთდა, შემდეგ კი თბილისის პირველ საშუალო სკოლად.

მას დღეს დაარსების 190 წლისთავი უნდა აღენიშნა, მაგრამ სკოლას, რომელიც სინამდვილეში იყო საქართველოს ისტორიისა და კულტურის კერა, რომლის კედლებიდან გასული თაობები ყოველთვის განსაზღვრავდნენ ერის სიდიადეს, მის აწმყოს და მომავალს, უბედურებაც არგუნა განგებამ. ორჯერ განადგურდა: ერთხელ მორალურად — 1939 წელს, როცა მაშინდელმა მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა ადმინისტრაციისა და პედაგოგების უპარტიო წარმომადგენლები, როგორც საეჭვო პირები და, მეორედ ახლა, ამ ზამთარში, ძმათა სისხლისმღვრელი ომის დროს...

თვალებდათხრილი, მაგრამ მაინც დგას თბილისის პირველი საშუალო სკოლა ქალაქის მთავარ პროსპექტზე. მისი ამჟამინდელი დირექტორის ქალბატონ ლიანა შეწირულის თქმით იგი დიდებულია მწუხარებით, რადგან მასში თითქოს გაცოცხლებულა ერთმანეთისადმი თანადგომა, თანაგრძნობა და სიყვარული.

პირველ საშუალოს არა სჩვევია ხანგრძლივი ჭირი. ამიტომ განიზრახეს მისმა შვილობილებმა და ყველამ, ვისაც ძვირფასად მიაჩნია იგი, თავისი წვლილი შეიტანონ შენობის აღდგენაში. ხოლო ყოველი აღდგომის წინა შაბათი პირველსკოლადამთავრებულთა შეხვედრების ტრადიციულ დღედ აქციონ.

— ყველაფერს იშველება. ჭეშმარიტად აღსდგება ჩვენი სკოლაც, ოღონდ ნუ მივატოვებთ მას და რუსთაველის პროსპექტს — თქვა მწერალმა ვახუშტი კოტეტიშვილმა — ხელი მოვკიდოთ ჩვენს შვილებს, ახლობლებს და შაბათ-კვირაობით რუსთაველის პროსპექტზე ტრადიციულად ვისეირნოთ, ქართული სალამი, ზრდილობა გავიხსენოთ, დაე, აღორძინდეს კაცთმოყვარეობა, მოყვასისადმი სიყვარული.

ია კალანდარიშვილი.

სურათზე: შეხვედრის დროს.
ვარლამ ბენბიურის ფოტო

ახალი წიგნები

ცხოვრება და ღვაწლი ერისკაცისა



ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებრიობამ მიიღო პედაგოგიკის დიდი ქართველი კლასიკოსის — იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ვრცელი მონოგრაფია, რომელიც დიდი იაკობის უმცროსი თანამებრძოლის, მისი პედაგოგიური იდეების განმავითარებლისა და უნიკალური სახელმძღვანელოების ერთგული დამცველის — ლუარსაბ ბოცვაძის შვილიშვილს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზურაბ ბოცვაძეს ეკუთვნის.

ნაშრომის ბიოგრაფიულ ნაწილში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იაკობ გოგებაშვილის საარქივო ფონდის საქმეები, ნიკო ლომოურისა და თანამედროვეთა მოგონებანი, რომლებიც ცხადყოფენ ახალგაზრდა იაკობის არაჩვეულებრივ ნიჭს, სიბეჯითეს, შრომისმოყვარეობას, მის ინტენსიურ სწრაფვაზე პედაგოგიური სარბიელისაკენ.

ნაშრომიდან ირკვევა, რომ განათლების პეტერბურგის ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ საქვეყნოდ აღიარა სწავლების გოგებაშვილისეული ნოვატორული მეთოდების (წიგნებზე დამოუკიდებელი მუშაობის, შინაარსის თავისუფალი გადმოცემის, მოსწავლეთა ზეპირი და წერილობითი მონათხრობის პედაგოგიური ანალიზისა და განზოგადების, დიდაქტიკურ პრინციპზე სწავლების დამყარებისა და სხვა) ფართოდ გამოყენების მნიშვნელობა და საჭიროება.

მონოგრაფიაში რელიეფურადაა წარმოჩენილი გოგებაშვილის განსაკუთრებული დამსახურება ქართველი ბავშვებისათვის უკვდავი სახელმძღვანელოების შექმნა-გამოცემაში, ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლებისას ლევიცკის ე. წ. „მუნჯურ მეთოდის" დანერგვაში და ცარისტული რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მის უკომპრომისო ბრძოლაში. იაკობისეული მღელვარე სულის ექოდ ჟღერს ზ. ბოცვაძის სარეცენზიო ნაშრომის მესამე დასათაურება: „დედა ენა" არის ენა სულისა და გულისა". სწორედ მის დაცვას დაუნანებლად შესწირა იაკობმა თავისი უკვდავი სული და სიცოცხლე.

ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ნიჭი, ენერგია, შრომა და ცოდნა შესწირა ისეთი პიროვნების აღზრდას, ვისაც „...ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისის ლხენითა, ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე".

ამ საპატიო მისიის შესრულებას, უეჭველად შეუწყობს ხელს გამომცემლობა „განათლების" მიერ გამოცემული, პროფესორ ზურაბ ბოცვაძის მონოგრაფია, რომელიც საპატიო ადგილს დაიჭერს გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურის „ოქროს ფონდში".

ტიტე სარიშვილი,
რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

უცნობი გალაკტიონი



გალაკტიონ ტაბიძის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად „ნაკადულმა" გამოსცა ვახტანგ ჯავახაძის წიგნი „უცნობი. აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა".

წიგნში გამოყენებულია მდიდარი საარქივო და დოკუმენტური მასალა, აგრეთვე სხვადასხვა პირის გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მოგონებები, ზეპირი გადმოცემები, ავტორის პირადი შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. მკითხველი პირველად გაეცნობა მრავალ ჩანაწერსა და დღიურს, გამოუქვეყნებელ ლექსსა და ფრაგმენტს, რომლებიც ახლებურად წარმოგვიდგენენ დიდი ლირიკოსის ყოფით და შემოქმედებით ბიოგრაფიას. ამდენად სახელწოდება „უცნობი" სიმბოლურად გამოხატავს წიგნის შინაარსს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გალაკტიონი ბოლომდე შეუცნობელი დარჩა თანამედროვეთათვის.

აპოლოგიას ერთვის გალაკტიონის ნახატები, რომლებსაც ვ. ჯავახაძემ მიაკვლია და გამოაქვეყნა. წიგნს მხატვარი არ ჰყავს, მისი მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებისათვის გამოყენებულია გალაკტიონის გრაფიკა და კალიგრაფია: ყდისა და ტიტულის წარწერებიც კი პოეტის ხელწერითაა შესრულებული.

„უცნობი" პირველად 1988 წელს დაიბეჭდა და მკითხველებისა და ლიტერატურული კრიტიკის საერთო აღიარება დაიმსახურა: მიუხედავად სოლიდური ტირაჟისა, უმალ გაიყიდა. წინამდებარე გამოცემა მნიშვნელოვნად აღემატება პირველს. ავტორმა იგი ახალი ფაქტებით, ეპიზოდებითა და თავებით შეავსო. უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი ნახატებიც.

იყიდება ცეკავშირის წიგნის მაღაზიაში: თავისუფლების მოედანი, №7.

ასე მზადდებოდა ოკუპაცია



გრიგოლ ჟვანიას წიგნში, „როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია" (დოკუმენტები), შესული დოკუმენტების უმრავლესობა პირველად იქნება ხელმისაწვდომი ფართო მეცნიერული კვლევით დაინტერესებულთათვის.

ავტორი ნათლად მოუთხრობს მკითხველს, თუ როგორი თანამიმდევრობით ახორციელებდა რუსეთის საბჭოთა მთავრობა საქართველოს მიმართ თავის ანექსიონისტურ პოლიტიკას და როგორ ცდილობდა იგი მილიონობით სასიცოცხლო ძაფებით მიეჯაჭვა რუსეთთან საქართველო.

წიგნი გამოსცა გამომცემლობა „სამშობლომ", რედაქტორია — პროფესორი ლევან თოიძე.

ოვაცია

„ერთმანეთის სიყვარულით თავი უნდა გავიტანოთ"

— მღეროდნენ ხმაშეწყობით გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე, გრძნობამორეული ზურაბ ქაფიანიძე კი ცრემლებს ვერ მალავდა.

და ეს ყველაფერი ამ ცოტა ხნის წინათ ხდებოდა თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე — მღეროდნენ და ხუმრობდნენ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები — ნიჭსა და უნარს არ ზოგავდნენ, რათა კოშმარული ზამთრის შემდეგ თბილისელებს ცოტათი მაინც დაჰვიწყებოდათ ათასი საზრუნავ-სადარდებელი. მოახერხეს კიდეც — იმ რამდენიმე დღეს (აპრილის პირველ რიცხვებში) ხალხი არ მოჰკლებია საკონცერტო დარბაზს, გაიღიმა, სახე გახსნა დიდმა და პატარამ, იმედი და სიხარული ჩაუდგა თვალებში, რწმენა გაუჩნდა იმისა, რომ ისევ გამთლიანდება ერი... „ერთმანეთის სიყვარულით თავი უნდა გავიტანოთ..." მღეროდნენ გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე — უნიჭიერესი მუსიკოსის, ლიტერატორის, რეჟისორის ჯემალ ბაღაშვილის მიერ ახმატკბილებულ ფანდურს ჰყვებოდნენ და დარბაზს მართლაც სასიკეთო, სასიყვარულო განწყობილება მოსდებოდა.

აბა ნახეთ, რა ხალხი მონაწილეობდა ამ საღამოებში: სოფიკო ჭიაურელი, ლიკა ქავჟარაძე, ია ნინიძე, კოტე მახარაძე, ზურაბ ქაფიანიძე, რეზო ესაძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ჯემალ ღაღანიძე, ამირან ბუაძე, მამუკა კიკალეიშვილი, მამა-შვილები — გივი ბერიკაშვილი და ზურაბი, კახი კავსაძე და ირაკლი...

ამათი ხელოვნება, სიმღერა, ცეკვა, თუ უზადო იუმორი, ჩვენ ხომ სხვადასხვა დროს გვინახავს სცენაზე და ეკრანზე, მაგრამ, ასე ერთად, მრავალფეროვანი თაიგულივით შეკრული, არასდროს ყოფილან, და ამისთვისაც დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ საღამოების მოთავეებს. ესენი კი არიან ნიკო ნადირაშვილი, რაულ ნადირაშვილი და გია ასანიშვილი — ქართული ხალხური საკრავების შესანიშნავი ტრიო „საუნჯე". ახალგაზრდებმა ახლახან კომპანია შექმნეს, „ტრიო საუნჯე" უწოდეს და პირველი ნაბიჯიც აი, ამ საღამოებით გადადგეს.

— კომპანიის მიზანია ემსახუროს ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს, — ამბობს ტრიოს ერთ-ერთი წევრი ნიკო ნადირაშვილი, — ეს ადვილი არ არის, მაგრამ უაღრესად კეთილშობილურია და, ვნახოთ... ჩვენს საყვარელ მსახიობებს ასე ერთად ჯერ არ მოუყრიათ თავი ესტრადაზე... მათ დაამტკიცეს, რომ პროფესიონალებზე ნაკლებად არ შესძლებიათ სიმღერა... ფირმას თითოეულ მსახიობთან მკაცრი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. მაგალითად: თუ პროგრამაში გამოცხადებულია მისი გვარი, აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა საღამოში, ჩვენთან შესრულებულ ნომერს სხვაგან ვერ შეასრულებს და ა. შ. ასევე, ჩვენ ავიღეთ ჯემალ ბაღაშვილის სცენარის საავტორო უფლება... (აწიც, ყველა სერიალს ჯემალი მოგვიმზადებს). სამაგიეროდ, თანხაც საკმაოდ წაიღეს მონაწილეებმა... ზუსტ ციფრს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ვიცი, რომ უკმაყოფილონი არ არიან... ამაში კი დიდი დახმარება გაგვიწიეს გენერალურმა სპონსორებმა — ასოციაცია „ერქვანმა" (პრეზიდენტი კობა ჯიბლაშვილი), ფირმამ „მ. გ. მ. — ავტორი" (პრეზიდენტი მამუკა მარუაშვილი) და სხვებმა.

რა თქმა უნდა, ჩვენ, ჯერჯერობით, მოგებაზე არც გვიფიქრია. კარგად უთქვამს ხალხს: რასაც დასთეს, იმას მოიმკიო... ალბათ გესმოდათ დარბაზში შეძახილები „ვივა საუნჯე"! ჩვენი მოგება ამჯერად სწორედ ეს არის... ფირმის კოლექტივს — ქართული ხელოვნების მოყვარულთათვის ცნობილ ადამიანებს — სამხატვრო ხელმძღვანელს დორიან კიტიას, სალიტერატურო ნაწილის გამგეს ჯემალ ბაღაშვილს (იგი ამ კონცერტების სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია), მხატვარ რომუალდ კოზლოვსკის, მუსიკალურ ხელმძღვანელს ბორის შხიანს ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს, თუმცა კონკრეტულად ჯერ ვერ გავმხელთ, თუნდაც იმიტომ, რომ გვინდა ახალი რეპერტუარი სასიამოვნო მოულოდნელობა იყოს თბილისელთათვის.

აბა, რა გვეთქმის... წარმატებები ვუსურვოთ ფირმას. მე პირადად დიდხანს გამყვება სიამოვნება, რომელიც საკონცერტო დარბაზში „ვარსკვლავების" კონცერტზე მივიღე. ვნახე გაღიმებული საქართველო, ვნახე ლექსის კითხვისას: „წუხელი ვაჟი დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე დავითი..." როგორ ამოუჯდა გული და ცრემლით თვალები დაუსველდა ვეება ზურაბ ქაფიანიძეს, აქა-იქ ხალხის თვალებზეც შევნიშნე ცრემლი — იმედის, რწმენის დასტური. და თუ ვინმეს არ განეცდიათ აპრილის პირველ რიცხვებში „ვარსკვლავებით" მოგვრილი სიამოვნება, გირჩევთ იჩქაროთ დიდ საკონცერტო დარბაზში. **მაყურებელთა თხოვნით ფირმა „ტრიო საუნჯე" 4, 5, 6, 7 და 8 მაისს კვლავ აგრძელებს საღამოებს „მღერიან და ხუმრობენ ქართული თეატრის და კინოს ვარსკვლავები".**

ვილენ მარდალეიშვილი.

რეპლიკა

ლიფტი აღარ გვჭირდება?

გაერთიანება „თბილისლიფტის" სამმართველოს უფროსს ბატონ ვახტანგ გუმბერიძეს, ბრიგადირ ზაურ კოვზირიძეს, მონტიორებს, მელიფტეებს და...

ყველას, ვინც ვალდებულია მოემსახუროს ერთ თოთხმეტსართულიან მრავალბინიან სახლს, დიღმის მასივის მეხამე კვარტალის I კორპუსის მაცხოვრებლებს — ბავშვებს, მოხუცებს, ინვალიდებს. ამ სახლის ორივე სადარბაზოს ორივე ლიფტიდან გამართულად, ერთიც არ მუშაობს. არის გაუთავებელი ნერვიულობა, ჩხუბი, ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან არავინ არის ისეთი, ამ სახლის მობინადრეთა გაჭირვება რომ არ იცოდეს, მაგრამ რა?

ჩვენს აუტანელ, გაძვირებულ და გაჭირვებულ ცხოვრებას ის ლიფტების პრობლემაც ემატება და ხალხის მოთმინების ფიალაც აივსო. ვისაც მიაკითხეს, უმეტეს შემთხვევაში ადგილზე ვერავის ნახულობენ მელიფტეებით დაწყებული და ზევით. ჭორი თუ სიმართლე კი აზვირთებულია, ლიფტისთვის საჭირო დეტალები არ არისო, კრება მოვიწვიოთო, ფული შევუგროვოთ სამმართველოს მუშაკებსო, და კიდევ სხვა მრავალი. საინტერესო კი არის, ღმერთმანი, ლიფტის დეტალები მარტო ჩვენი კორპუსის მცხოვრებლებისთვის არ არის? ნუთუ შეუძლებელია, რომ თითო სადარბაზოში თითო ლიფტი მაინც მუშაობდეს, ლიფტის გამართვას კრებები რად უნდა? ან ბავშვებს კომერციულ მაღაზიებში ნაყიდი კარაქი და შაქარი გავაწვდინოთ, თუ ლიფტის დეტალები შევიძინოთ?

ამ სახლში ჟურნალისტები და გამომცემლობის მუშაკები ცხოვრობენ. ჩვენი სამსახურის პრინციპი ისეთია, რომ ხშირად გვიწევს მორიგეობა. აბა, მითხარით როგორი საქმეა, მთელი დღის ნაჯაფს, გვიან შინ რომ დაბრუნდები, თუნდაც მეათე სართულზე ავადმყოფ ადამიანს ფეხით ასვლა რომ მოგიწევს?

რედაქციაში მოქალაქეები მრავალ ცხოვრებისეულ გაჭირვებაზე მოგვმართავენ, ჩვენც, რა თქმა უნდა, გულისტკივილით ვეკიდებით მათ პრობლემებს, საკუთარ თავს კი ვერაფრით ვშველით.

მობინადრეთა სახელით —
ჯემალ ქურხული.

ხელმოწერით გავრცელდება

ოციანი წლები, ბერლინი, პოლიციის შეფის გაოცებას საზღვარი არ აქვს: როგორც იქნა, ხანგრძლივი ძიების შემდეგ მიაგნეს იმ ადგილს, სადაც ყალბი ბანკნოტები იბეჭდებოდა, სტერლინგები... მარკები... საბჭოთა თუმნიანები. მზა პროდუქცია 120 ცენტნერი!

დააპატიმრეს ამ საქმეში თავკაცებიც — ქართველი ემიგრანტები შალვა ქარელი (ქარუმიძე), ვასილ სადათიერაშვილი, იგივე ბასილ სადათიერი... მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა მათი გასამართლება... ბერლინის პოლიციის თავკაცმა არ იცოდა, რომ ღრმა ფესვები ჰქონდა ქართველ ემიგრანტთა საქმიანობას... ჩერჩილი, ჰიტლერი, ჰირტი, ლორდი დეტერდინგი, ჰერცოგი ლაიხტემბერგელი, ევროპის უდიდესი ბანკების მმართველები...

ეს არის უაღრესად რთული ჟამი ევროპისათვის: ბერლინი, კონსტანტინეპოლი, პარიზი სავსეა საქართველოდან გადახვეწილი საუკეთესო შვილებით. ყალბი ფულის რაინდთა ცხოვრების ფონზე მკითხველს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ევროპასა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მას საფანლად მძაფრი სათავგადასავლო სიუჟეტი უდევს. რომან-ქრონიკის „ბრილიანტის დედოფლის საიდუმლოს" ავტორია ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი სანადირაძე. მისი გამოცემა დაგეგმილია ივნისის თვეში. წიგნი ხელმოწერით გავრცელდება. თუ თქვენ დაინტერესდებით ამ გამოცემით — შეკვეთა შეგიძლიათ გააფორმოთ, როგორც ფულის საფოსტო გზავნილით, ისე პირადადაც, ერთი ეგზემპლარის ღირებულებაა 16 მან.

მისამართი: თბილისი, გოგოლის 28, გაზეთ „სიმართლის" რედაქცია.

ტელეფონი 95-66-72. კონვერტზე უსათუოდ მიუთითეთ თქვენი ზუსტი მისამართი. კუთხეში გაუკეთეთ აღნიშვნა „ბ" დ. ს".

ქრონიკა

● ჭიდაობა

აპრილის უკანასკნელ დღეს სასიამოვნო ახალი ამბავი მიიღეს საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა), რომლის შტაბბინა შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მდებარეობს, უნგრეთში გამართა გასვლითი კონგრესი. კონგრესზე გადაწყვიტეს ამ ორგანიზაციაში, რომელიც აერთიანებს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წარმომადგენლებს, მიეღოთ საქართველოს შესაბამისი ფედერაციები. ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიური ასპარეზობის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ფალავნები დამოუკიდებელ გუნდად გამოვლენ ფილას ეგიდით გამართულ ყველა ოფიციალურ ასპარეზობაში.

● კრივი

ბაქოში მერვედ გაიმართა მოკრივეთა ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ეძღვნება სპორტის დამსახურებული ოსტატის არიფ ალალაროვის ხსოვნას. ასპარეზობის ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა თბილისელი თამაზ ხდრიანი (სპორტსაზოგადოება „მართვეს" წევრი), რომელიც 60 კილოგრამამდე წონითი კატეგორიაში გამოდიოდა.

გამოსათხოვარი

ელისაბედ ჩოლოყაშვილი



გარდაიცვალა უხუცესი ფინანსისტი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი და მასწავლებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ელისაბედ ირაკლის ასული ჩოლოყაშვილი.

დაიბადა 1914 წელს. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1931 წლიდან. მუშაობდა ქ. თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში ბუღალტრად, ინსპექტორად, უფროს ინსპექტორად, შემდეგ — საგეგმო კომისიაში პასუხისმგებელ თანამდებობებზე. 1956-1973 წლებში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში. 1973 წლიდან 1989 წლამდე იგი თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმის მასწავლებელი იყო და მთელს თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემდა მოსწავლე ახალგაზრდობას.

მისი, გულისხმიერი, თავმდაბალი, ღრმად განსწავლული პიროვნების პატიოსანი შრომა არაერთხელ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებითა და მადლობებით.

ე. ჩოლოყაშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

რეკლამა ● განცხადება

კოოპერატივი „არმაზი—88"-ის ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

კოოპერატივის საფირმო მაღაზიაში
(მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი")
გრძელდება ათტომეულის მეორე წიგნის:
ინაიათულ-ლაჰ-ქანბუ
„ერთგული და მოღალატე ცოლები"-ს
გაყიდვა (ფასი 30 მანეთი).

საფოსტო გზავნილით ხელმომწერებს უახლოეს ხანში დაეგზავნებათ აბონემენტები და ყველა წიგნს ისინიც შეიძენენ საფირმო მაღაზიაში.

მათთვის, ვინც დაგვიანებით მოვიდა პირველი წიგნის საყიდლად, მესამე წიგნის გამოსვლის შემდეგ დაიბეჭდება პირველი წიგნის დამატებითი ტირაჟი.

კოოპერატივი „არმაზი-88"-ის გამგეობა

ფირმა „ზავლეგო"

გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას თურქეთის რესპუბლიკაში შემდეგი მარშრუტებით თბილისი-ფაცაადაბაზარი-სტამბული-თბილისი, თბილისი-ფაცა-სამსუნი-თბილისი.

მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 9 სთ-დან 17 სთ-მდე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ. № 2, მე-3 სართული, ტელეფონი 96-42-86, 95-94-57.

თეატრ-სტუდია „ვახტანგკონცერტი"

აგრძელებს მსურველების მიღებას შემდეგ მოსამზადებელ ჯგუფებში:
საესტრადო სიმღერების შემსწავლელი ვოკალური ჯგუფი;
ექვსსიმიან გიტარაზე დაკვრის შემსწავლელი ჯგუფი;
თანამედროვე ცეკვების შემსწავლელი ჯგუფი;
დასარტყმელ ინსტრუმენტზე დაკვრის შემსწავლელი ჯგუფი.

თეატრ-სტუდია „ვახტანგკონცერტთან" არსებული ბავშვთა ვოკალური ჯგუფი „ფრესკები" აცხადებს კონკურსს თანამედროვე ცეკვების მცოდნე ბავშვებისა და მოზარდების (4-დან 15 წლამდე) შესარჩევად შოუ ბალეტსა და სხვადასხვა კონცერტებში მონაწილეობისათვის.

მოსამზადებელი ჯგუფები ფასიანია.

მისამართი: რუსთაველის გამზირი № 16 ტელ.: 98-88-89.

10-დან 15 საათამდე ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

„იბერიაბანკი" — საქართველოს საქმიანი წრეების სამსახურში

„იბერიაბანკი" ერთადერთი ბანკია საქართველოში, რომელსაც გააჩნია გენერალური ლიცენზია სავალუტო ოპერაციების ჩატარებაზე ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

„იბერიაბანკი" ერთადერთი ბანკია საქართველოში, რომელიც თავისი ოფისიდან, პირდაპირი კავშირის საშუალებით ახორციელებს საბანკო ოპერაციებს მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონთან.

„იბერიაბანკის" გამგეობა გთხოვთ, მხოლოდ დიდი საფინანსო პროექტებისა და ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში ისარგებლოთ ჩვენი ბანკის ოპერატიული მომსახურებით.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380008, ბროსეს ქ. №1
ტელ. 98.70.50
ფაქსი 8832 988090
ტელექსი 212993.

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,
ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს" შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-12-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „გავაზი" — თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტი!

მთავარი რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.